



დაბა სტეფანწმინდაში ალექსანდრე ყაზბეგის
სახელობის ისტორიული მუზეუმის კომპლექსის
რეაბილიტაციის პროექტი
მეორე ფაზა

გარემოსდაცვითი მიმოხილვა

რეგიონალური განვითარების მესამე პროექტი
დაფინანსებული მსოფლიო ბანკის მიერ

ივნისი, 2019

ქვე-პროექტის აღწერა

ქვე-პროექტი ითვალისწინებს დაბა სტეფანწმინდაში ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის ისტორიული მუზეუმის კომპლექსში შემავალი სამი შენობის - ისტორიული მუზეუმის შენობის, ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმისა და ნიკოლოზ ყაზბეგის (ალ. ყაზბეგის ბიძა) სახლის რეაბილიტაციას, ასევე მუზეუმის ეზოს კეთილმოწყობას.

კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო 2017 წელს რეგიონული განვითარების მესამე პროექტის ფარგლებში.

სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველ ფაზაში განხორციელებული იქნა შემდეგი სამუშაოები:

ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმი:

- ინტერიერში მოიხსნა ხის კიბე, ნაღესობა და პირველი სართულის ხის იატაკი.
- გაძლიერდა საძირკველი.
- გადაეწყო სამხრეთ აივანზე გასასვლელის თავზე არსებული თაღი.
- მოიხსნა გვიანდელი მოპირკეთება შენობის დასავლეთი ფასადის ჩრდილოეთ ნაწილში.
- მოიხსნა აივნის კერამიკული ფილების მოპირკეთება.

ნიკოლოზ ყაზბეგის სახლი:

- ინტერიერში მოიხსნა ნაღესობა და პირველი სართულის ხის იატაკი.
- მოიხსნა ძველი სახურავი და გაუკეთდა დროებითი გადახურვა.
- მოიხსნა ორი ნახევარწრიული კიბე.

განხორციელებული სამუშაოებისას გამოვლენილი ახალი გარემოებების მიხედვით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ შეტანილი იქნა ცვლილებები მუზეუმის კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტში. არსებულ პროექტში ცვლილებების შეტანა გააუმჯობესებს ვიზიტორთა მოძრაობის სქემას, ასევე მუზეუმი შეიძენს დამატებით საგამოფენო სივრცეებს.

კერძოდ, გათვალისწინებულია შემდეგი ცვლილებები:

- ალექსანდრე ყაზბეგის სახლის აღმოსავლეთ ფასადთან დაიდგმება საგამოფენო სივრცისათვის განკუთვნილი გათბობა-გაგრილების გარე აგრეგატები და მათი დაფარვის მიზნით მოეწყობა მსუბუქი კონსტრუქციის შირმა;
- ქვედა ეზოში მოხდება არსებული აუზის დემონტაჟი და ბილიკები გადაგეგმარდა ისე, რომ ვიზიტორი მიმართული იქნეს პირდაპირ ვიზიტორთა ცენტრისაკენ;
- ისტორიული მუზეუმის შენობის (სადაც დაგეგმილია ვიზიტორთა ცენტრის განთავსება) დამოუკიდებელი შესასვლელთან მცირედით შეიცვალა პანდუსების კონფიგურაცია და დაემატა ახალი პანდუსები;

- ვიზიტორთა ცენტრის გადახურვის პარაპეტზე უსაფრთხოების მიზნით მოეწყობა ლითონის მოაჯირი, გადახურვა მოეწყობა კომპაქტლამინატის დეკით, ნაცვლად კერამიკული ფილისა;
- ვიზიტორთა ცენტრიდან საგამოფენო სივრცეში გადასასვლელად მოეწყობა მინის გალერეა, რომელიც გაუყვება არსებულ ქვის ღობეს;
- სველი წერტილები მოეწყობა ვიზიტორთა ცენტრის შენობაში. წინა პროექტით გათვალისწინებული იყო სველი წერტილების მოწყობა ნახევარწრიული ფორმის ღობის კედელში, სადაც დაიგეგმა დაცვის სივრცის განთავსება;
- მცირედი ცვლილებები იქნა შეტანილი ვიზიტორთა ცენტრის შიდა გეგმარებასა და მოსაპირკეთებელ მასალებში, დაიგეგმა მისი მცირედ გაფართოება აღმოსავლეთ ფასადთან;
- ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმში რესტავრირებული იქნება კარების ღიობებში შემორჩენილი ფიქალი ქვის მასიური ზღუდარები და იგივე დონეზე მოიჭიმება კირ-დულაბის იატაკი (ნაცვლად ხის იატაკისა). აღდგება კედლების პირვანდელი სახე (აღარ შეილესება), პირვანდელი სახე დაუბრუნდება ფანჯრების ღიობებს, აღდგება საკვამურები და საპეროები საარქივო მასალების მიხედვით, მოხდება ბუხრებისა და ნიშების რესტავრაცია, რომლებიც გამოჩნდა ნალესობის მოხსნის შემდეგ;
- ნიკოლოზ ყაზბეგის სახლის პროექტში შეიცვალა იატაკის მოწყობა და დაიგეგმა კირ-დულაბის იატაკის მოჭიმვა ნაცვლად ხის იატაკისა, კედლები გასუფთავდება, დაუბრუნდება პირვანდელი სახე და აღარ გაილესება, აღმოსავლეთ ფასადზე აღდგენილი იქნება კედლის სიბრტყე ავთენტური მასალით (აღარ მოეწყობა ნიშები). ნიშები დარჩება ინტერიერში, თუმცა გაუქმდება იქ, სადაც ხელს შეუშლის ნალესობის მოხსნის შემდეგ გამოვლენილი ბუხრების რესტავრაციას;
- სახანძრო და საევაკუაციო ნორმების გათვალისწინებით გიზარდა სამხრეთ გალავნის ზედა კარიბჭის სიგანე 4,25 მეტრამდე.

ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი დანარჩენი სამუშაოები არ იცვლება და მათი აღწერა მოცემულია ქვემოთ:

ისტორიული მუზეუმის შენობა აშენებულია გასული საუკუნის 80-იან წლებში. ამჟამად ძლიერ დაზიანებულია, ამიტომ მუზეუმის ადმინისტრაცია და ექსპონატები დღეისათვის განთავსებულია ალ.ყაზბეგის სახლ-მუზეუმსა და ნიკოლოზ ყაზბეგის სახლში. შენობა არის ერთსართულიანი, ფართობი - 485 მ². რეაბილიტაცია დაგეგმილია ისე, რომ მაქსიმალურად მოხდეს არსებული შენობის სტილის შენარჩუნება. ქვე-პროექტით გათვალისწინებულია:

- ფასადების გასუფთავება, შელესვა და დაზიანებული ადგილების მოპირკეთება არსებულის ანალოგიური ადგილობრივი ქვით;
- პანდუსის მოწყობა უნარშეზღუდული პირებისათვის;
- სადემონტაჟო სამუშაოები (ძველი ლითონის ვიტრაჟის, ხის ფანჯრების, აგურის კედლის, ძველი ნალესის მოხსნა);

- შიდა სარემონტო სამუშაოები: კედლების მოწყობა, იატაკზე მოჭიმვის მოწყობა, იატაკების მოპირკეთება კერამიკული ფილებით, კედლების და ჭერის მოპირკეთება, მეტალო-პლასტმასის ფანჯრების ჩასმა);
- სახურავიდან (ბრტყელი გადახურვა) ასფალტის ფენის დემონტაჟი, ახალი გადახურვის მოწყობა ჰიდროსაიზოლაციო მასალით და მოპირკეთება კომპაქტლამინატის დექით;
- შიდა წყალმომარაგების, კანალიზაციის, გათბობისა და ვენტილაციის სისტემების მოწყობა;
- შენობის ირგვლივ წყალარინების სისტემის მოწყობა.

რეაბილიტაციის შემდგომ ისტორიული მუზეუმის შენობის ცენტრალურ ნაწილში განთავსდება ტურიზმის რეგიონული საინფორმაციო ცენტრი, სივრცე დროებითი გამოფენებისათვის და საკონფერენციო დარბაზი. შესასვლელიდან მარცხენა ფლიგელში განთავსდება კაფე და სუვენირების პავილიონი, ხოლო მარჯვენა ფლიგელში - მუზეუმის ადმინისტრაცია და ტუალეტი.

აღ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმი არის ორსართულიანი შენობა-ნაგებობა ფართით 410მ². სახლ-მუზეუმის რესტავრაციის პროექტი შედგენილი იქნა ისტორიული ფოტო და გრაფიკული მასალის და წინა წლების ანაზომების გათვალისწინებით. პირველ რიგში ჩატარდება შენობის საძირკვლის და ბზარების გასამაგრებელი სამუშაოები, აღდგება სადრენაჟო სისტემა. დასავლეთის ფასადზე მოიხსნება დაზიანებული რკინა-ბეტონის აივანი და მოეწყობა ახალი, სადაც განთავსდება ორი სათავსო, აივნის თავსა და ბოლოში და ხის სვეტებზე მოწყობილი გადახურვა. აივანი შემოიზღუდება ლითონის მსუბუქი მოაჯირით. ფასადის გვიანდელი ქვის პერანგი მოიხსნება, აღდგება კედლის წყობა და კარის ღიობები. ბანზე ამავალი ნახევარწრიული ქვის კიბესთან მიჯრით მოეწყობა ქვის სწორკუთხა კიბე, რომელიც ფიქსირდება ერთ-ერთ ძველ ფოტოზე. დასავლეთის ფასადზე აღდგება თლილი ქვის ფრონტონი, რომელიც შემკულია ოთხი სვეტით. სამხრეთის ფასადზე აღდგება აივანი. აღმოსავლეთის ფასადზე გადაეწყობა დაზიანებული კარის ღიობი. მთლიანად შენობის პერიმეტრზე მოეწყობა ამჟამად მოშლილი პარაპეტი 40 სმ სიმაღლის თლილი ქვის ბლოკებით. პარაპეტის გასწვრივ მოეწყობა ინტერიერში აღდგენილი ბუხრების საკვამურები თლილი ქვის ბლოკებით. სახურავის დაზიანებული თუნუქის საფარი აიყრება. სახურავზე მოეწყობა სამერცხლური და გადაიფარება მაღალი ხარისხის ყავისფერი თუნუქის საფარით. შენობის ინტერიერში მოიხსნება დაზიანებული ნალესობა, აღდგება ბუხრები, შეიცვლება დაზიანებული ხის კიბე, რესტავრაცია ჩაუტარდება პირველი და მეორე სართულების ჭერს, იატაკებს და ხის-კარ-ფანჯარას. ბანზე ამავალი კიბის ქვეშ მოეწყობა ტუალეტი მომსახურე პერსონალისათვის. პირველ სართულზე მარჯვენა, პატარა ოთახის ნაწილი დაეთმობა სალაროსა და გარდერობს. მოეწყობა წყალმომარაგების, კანალიზაციის, განათების, სიგნალიზაციის სისტემები.

ნიკოლოზ ყაზბეგის სახლი არის ერთსართულიანი შენობა საერთო ფართობით 475მ². რესტავრაციის ფარგლებში მოიხსნება გადახურვის ბეტონის ფილები და აღდგება ბანიანი გადახურვის ხის კონსტრუქცია, რომელიც დაიფარება ჰიდროსაიზოლაციო მასალით. მოიხსნება ბეტონის კედელი ჩრდილო-დასავლეთით, დაიშლება სვეტების რიგი და ბაქანზე ქვის ფილების მოწყობის შემდეგ ხელახლა აღდგება რესტავრირებული სვეტების რიგი. ამავე მხარეს გადაეწყობა და შეივსება ორი, ნახევარწრიული ქვის კიბე. აღდგება მესამე სწორკუთხა კიბე. ფასადებზე მოიხსნება ბლოკით ამოყვანილი ნაწილი და მოეწყობა შერეული ქვის ფასადი კირის დულაბზე. შენობაში შეიცვლება ხის იატაკი და კარ-ფანჯარა. ინტერიერში მოიხსნება ძველი შელესილობა. კიბის უჯრედის ქვეშ მოეწყობა ტუალეტი. ნაგებობის ირგვლივ გამაგრდება საძირკველი და მოეწყობა სარინელი წყლის გადასაყვანად.

სამივე შენობის გათბობა მოხდება ბუნებრივი აირით, რომელიც უკვე შეყვანილია ისტორიული მუზეუმის კომპლექსში. ქვე-პროექტის ფარგლებში განახლდება არსებული წყლისა და კანალიზაციის არსებული კომუნიკაციები. კომპლექსი დაერთებულია მუნიციპალური წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემებთან.

ნიკოლოზ ყაზბეგის სახლის ბანზე ამავალი კიბის ბაქანთან მოეწყობა კარიბჭე, მის გასწვრივ აღდგება გალავანი ალ.ყაზბეგის სახლთან არსებულ კარიბჭემდე, რომელსაც ჩაუტარდება რესტავრაცია. ორივე კარიბჭეში მოეწყობა ლითონის ჭიშკარი. აღდგება დაზიანებული გალავანი. რესტავრაცია ჩაუტარდება ალ. ყაზბეგის სახლის გასწვრივ, სვეტებს შორის არსებული ლითონის ცხაურიან ღობეს.

ეზოში შენარჩუნდება გაზონების წყობა, აღდგება ბორდიურები, ბილიკები. გაიწმინდება და აღდგება არსებული აუზი, მოეწყობა განათების სისტემა, განთავსდება ბაღის სკამები, ურნები.

ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის ისტორიული მუზეუმის კომპლექსის ტერიტორია - 5167 მ², რეგისტრირებულია, როგორც სახელმწიფო საკუთრება, რომელიც სარგებლობაში არის გადაცემული სსიპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსათვის“.

გარემოსდაცვითი სკრინინგი და რანჟირება

(ა) ზემოქმედების შეფასება

<p>აქვს თუ არა ქვე-პროექტს საგრძნობი ზემოქმედება გარემოზე?</p>	<p>ქვე-პროექტს ექნება მცირე მოკლევადიანი ზეგავლენა გარემოზე, ხოლო მისი გრძელვადიანი ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე იქნება პოზიტიური.</p>
<p>რა მნიშვნელოვანი სასარგებლო და უარყოფითი ხასიათის ზემოქმედებები ექნება ქვე-პროექტს გარემოზე?</p>	<p>მოსალოდნელია, რომ ქვე-პროექტს ექნება დადებითი გრძელვადიანი ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, ვინაიდან ის უზრუნველყოფს მაღალი სტანდარტის, მულტიფუნქციური მუზეუმის რეაბილიტაციას და გაზრდის მის ტურისტულ მიმზიდველობას. ტურისტების გაზრდილ ნაკადს ექნება დადებითი სოციალური ზეგავლენა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის თვალსაზრისით.</p> <p>ყაზბეგის მუზეუმის რეაბილიტაცია გააუმჯობესებს ტურისტული მომსახურების ინფრასტრუქტურას და წვლილს შეიტანს მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ტურიზმზე დაფუძნებული ეკონომიკის და კულტურული მემკვიდრეობის სფეროს განვითარებაში.</p> <p>მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელია, რომ იქნება მოკლევადიანი: სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოების შედეგად მოსალოდნელია რომ გაიზრდება მტვერის და გამონახოლოქვის ემისიები სამშენებლო მექანიზმების და ტრანსპორტის ოპერირების გამო, გაიზრდება ხმაურისა და ვიბრაციის დონე ფონურთან შედარებით, მოსალოდნელია სხვადასხვა ტიპის სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა, ასევე, ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებები.</p>

	<p>მუზეუმის კომპლექსი მდებარეობს დაბა სტეფანწმინდაში. სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას წარმოქმნილმა ხმაურმა და მტვერმა შესაძლოა გამოიწვიოს ადგილობრივი მაცხოვრებლების, ასევე დამსვენებლებისა და ტურისტების შეწუხება.</p> <p>არსებობს სამუზეუმო ექსპონატებისა და კოლექციების დაზიანების მცირე რისკი დაკავშირებული მათ გადაზიდვასა და დროებით განთავსებასთან. ალ. ყაზბეგის მემორიალურ სახლში განთავსებულია სამუზეუმო ექსპონატი, ხოლო ალ.ყაზბეგის ბიძის სახლში - ფონდსაცავი. ამ შენობებში სულ თავმოყრილია 31 414 ექსპონატი - არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, საბუნებისმეტყველო და ნუმიზმატიკური კოლექციები, ფერწერა, გრაფიკა, სკულპტურა, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ფოტომასალა, წერილობითი ძეგლები, ძვირფასი ლითონები, მემორიალური და საეკლესიო ნივთები, კინო და მუსიკალური საცნობარო მასალა.</p> <p>ქვე-პროექტის განხორციელების შემდეგ, ტურისტული ნაკადის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს არაპირდაპირი უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე, როგორცაა ნარჩენების წარმოქმნის ზრდა, ვანდალიზმის რისკი და სხვა.</p>
<p>შეიძლება თუ არა, რომ ქვე-პროექტს გააჩნდეს მნიშვნელოვანი ხასიათის ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობასა და ზემოქმედების ქვეშ მყოფ სხვა პირებზე?</p>	<p>ქვე-პროექტის გრძელვადიანი სოციალური ზემოქმედება იქნება დადებითი (ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და ტურისტული ნაკადის ზრდა). მუზეუმის ახალი, კომფორტული შენობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მუზეუმის თანამშრომლების (10 პირი) სამუშაო პირობებს.</p>

	<p>მუზეუმის თანამშრომლებს ხელფასს უხდის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო. ქვე-პროექტის არ მოახდენს ზეგავლენას თანამშრომლების შემოსავალზე, ვინაიდან მისი განხორციელების განმავლობაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო შეუფერხებლად გააგრძელებს ხელფასების გაცემას (იხ. დანართი 3, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს წერილი).</p> <p>მნიშვნელოვანი სოციალური ზეგავლენა, როგორცაა ადგილობრივი დემოგრაფიული სტრუქტურის ცვლილება, ჩამოსახლება, მეორადი განვითარება ან დაავადებების რისკის გაზრდა მოსალოდნელი არ არის.</p> <p>ბუნებრივ გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა, რომელიც აღწერილია ზემოთ, იქნება მოკლევადიანი და შემოფარგლული ქვე-პროექტის განხორციელების ადგილით.</p>
--	---

(ბ) შემამსუბუქებელი ზომები

<p>რა ალტერნატივები იქნა განხილული დაპროექტებისას</p>	<p>თავდაპირველად, ქვე-პროექტის ფარგლებში იგეგმებოდა მხოლოდ ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმისა და ნიკოლოზ ყაზბეგის სახლის რეაბილიტაცია-რესტავრაცია. თუმცა, მოგვიანებით პროექტს დაემატა კიდევ ერთი ობიექტის, ალ. ყაზბეგის სახელობის ისტორიული მუზეუმის, მშენებლობა, რომელიც შედის მუზეუმის კომპლექსში.</p> <p>ქვე-პროექტის განხორციელების პირველ ეტაპზე ჩატარებული სამუშაოების შემდგომ (კედლების ნალესობის მოხსნა, ხის ატაკების დემონტაჟი) გამოვლინდა ახალი გარემოები, რის გამოც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ შეტანილი იქნა</p>
--	--

	<p>ცვლილებები თავდაპირველ პროექტში, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო ერთის მხრივ თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტების დაცვა, ხოლო მეორე მხრის ისტორიული შენობების რესტავრაცია პირვანდელ სახესთან მაქსიმალური მიახლოებით.</p>
<p>ზემოქმედების შერბილების რა ღონისძიებებია გათვალისწინებული?</p>	<p>სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოების შედეგად მოსალოდნელი უარყოფითი ზეგავლენა შესაძლოა მარტივად შემსუბუქდეს შემდეგი ღონისძიებების გატარებით:</p> <p>სამშენებლო ადგილის შემოსაზღვრა და შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება პერიმეტრზე, სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის მართვა, სამშენებლო ნარჩენების შესაბამისი მართვა და მუდმივი მონიტორინგი, მანქანა დანადგარების გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, სამუშაოების განხორციელებისათვის ნაკლებად სენსიტიური პერიოდის (დღის საათები) შერჩევა.</p> <p>საჭიროებისამებრ, მოსახლეობისათვის შესაბამისი განმარტებების მიცემა.</p> <p>მუზეუმში დაცული კოლექციები, პროექტის განხორციელების განმავლობაში, განთავსებულ იქნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის სააქტო დარბაზში, ხოლო მის დაცვას, მოვლას და უსაფრთხოებას მთლიანად უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო (იხ. დანართი 3, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანხმობა). ექსპონატების შეფუთვის, განთავსებას და ტრანსპორტირებას განახორციელა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე. ფართი, სადაც დროებით მოხბა ექსპონატების</p>

	<p>განთავსება, აღიჭურვა გისოსებით და სიგნალიზაციით, შეიქმნა მიკროკლიმატი.</p> <p>რეაბილიტაციის სამუშაოები არ გამოიწვევს მუზეუმის ეზოში არსებული ხე-მცენარეების დაზიანებას. ხეები იქნებიან შემოფარგლული და თავიდან იქნება აცილებული მათი დაზიანება.</p> <p>მიწის სამუშაოების დროს არქეოლოგიური ობიექტის გამოვლენის შემთხვევაში, კონტრაქტორმა დაუყონებლივ უნდა შეწყვიტოს სამუშაოები და მიაწოდოს ინფორმაცია მუნიციპალური განვითარების ფონდს, რომელიც, თავის მხრივ, დაუყონებლივ აწვდის ინფორმაციას კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს. სამუშაოების განახლება შესაძლებელი იქნება მხოლოდ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან წერილობითი თანხმობის მიღების შემდგომ.</p>
<p>ზემოქმედების შერბილების რა ღონისძიებებია გათვალისწინებული?</p>	<p>საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს აქვს შენობების რეაბილიტაციასთან და მშენებლობასთან დაკავშირებული საშუალო და დიდი ზომის ქვე-პროექტების განხორციელების დიდი გამოცდილება, რომლებიც ხორციელდება დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით. ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ქვე-პროექტი ითვალისწინებს არამარტო შენობის რეაბილიტაციას, არამედ გათბობა-გაგრილების, შიდა წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემების მოწყობას.</p>
<p>ჩართული იყო თუ არა დაინტერესებული თემები ქვე-პროექტის მომზადების პროცესში და გათვალისწინებული იქნა თუ არა მათი ინტერესები და ცოდნა სათანადოდ?</p>	<p>ქვე-პროექტის გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვის ანგარიშის სამუშაო ვერსია გამოქვეყნდა მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-გვერდზე. ნაბეჭდი ვერსიები ხელმისაწვდომი იყო მუნიციპალური განვითარების ფონდში და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობაში.</p>

	<p>მუნიციპალური განვითარების ფონდმა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ქვე-პროექტის გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვის ანგარიშის საჯარო განხილვის მიზნით ჩაატარეს საკონსულტაციო შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან 2016 წლის 15 ივლისს. შეხვედრის ოქმი თანდართულია.</p> <p>ქვე-პროექტის მეორე ფაზაში დაგეგმილი სამუშაოების ტიპოლოგია და მათთან დაკავშირებული მოსალოდნელი გარემოსდაცვითი და სოციალური ზეგავლენები რჩება იგივე. შესაბამისად, არ შეცვლილა გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის მოთხოვნები და არ არის აღნიშნული გეგმის ხელახლა საჯარო განხილვის საჭიროება.</p>
--	---

(გ) კატეგორიზაცია და დასკვნა

სკრინინგის შედეგების მიხედვით:

ქვე-პროექტი კლასიფიცირდა, როგორც

A

B

C

გარემოსდაცვითი კატეგორიის პროექტი.

გარემოსდაცვითი სკრინინგის დასკვნა:

1. ქვეპროექტი უარყოფილია
2. ქვეპროექტი მიღებულია

ქვე-პროექტის მომზადება მოითხოვს:

1. მცირემასშტაბიანი სამშენებლო და სარეაბილიტაციო საქმიანობების გარემოსდაცვითი ღონისძიებების

საკონტროლო სიის შევსებას
2. გარემოზე ზეგავლენის განხილვას,
გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მომზადების ჩათვლით



ქვე-პროექტის სოციალური და კულტურულ რესურსებზე ზემოქმედების სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
1	არის თუ არა ინფორმაცია ქვე-პროექტის ობიექტების მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი არ ჩაითვლება დასრულებულად თუ აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი)	X	
2	ქვე-პროექტის განხორციელება შეზღუდავს თუ არა მოსახლეობის ხელმისაწვდომობას სამეურნეო რესურსებზე, როგორცაა მიწა, საძოვრები, წყალი, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რაზეც მოსახლეობაა დამოკიდებული?		X
3	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება ცალკეული ინდივიდების ან ოჯახების ადგილმონაცვლეობას ან იქნება თუ არა საჭირო მიწის ნაკვეთის შეძენა (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად)?		X
4	გამოიწვევს თუ არა ქვე-პროექტის განხორციელება მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (დამხმარე ნაგებობები, ღობე, არხი, ბედელი, გარე ტუალეტები, სამზარეულოები და სხვა) დროებით ან მუდმივ დაკარგვას?		X
<p>თუ რომელიმე შეკითხვაზე (გარდა პირველი შეკითხვისა) პასუხი არის „დიახ“, მაშინ უნდა ამოქმედდეს OP/BP 4.12 საოპერაციო პოლიტიკა იძულებით განსახლების შესახებ, შემარბილებელი ღონისძიებები უნდა განისაზღვროს OP/BP 4.12-ისა და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით.</p>			
ინფორმაცია კულტურული რესურსების უსაფრთხოების სკრინინგისათვის		დიახ	არა
5	საჭიროებს თუ არა პროექტი მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს?	X	
<p>თუკი პასუხი კითხვაზე 5 არის „დიახ“, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას OP/BP 4.11 ფიზიკური კულტურული რესურსები და შემთხვევით მოპოვებული მასალების მართვა უნდა განხორციელდეს OP/BP-სა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტში მოცემული პროცედურების შესაბამისად.</p>			

მიწის ნაკვეთი, რომელზეც მდებარეობს ყაზბეგის მუზეუმი, რეგისტრირებულია, როგორც სახელმწიფო საკუთრება (დაზუსტებული ფართობი 5167 მ²) და სარგებლობაში არის გადაცემული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსათვის (იხ. თანდართული საკადასტრო ინფორმაცია).

გარემოსდაცვითი მიმოხილვა და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

1. შესავალი

1.1 საფუძველი

საქართველოს მთავრობამ თხოვნით მიმართა მსოფლიო ბანკს მესამე რეგიონული განვითარების პროექტისთვის ფინანსური მხარდაჭერის (60 მლნ \$) თაობაზე. პროექტის საერთო ღირებულებაა 75 მლნ \$, მათ შორის 15 მლნ \$ აფინანსებს საქართველოს მთავრობა. ქვე-პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციაა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

რეგიონული განვითარების მესამე პროექტის მიზანს წარმოადგენს ინფრასტრუქტურული მომსახურებისა და ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაუმჯობესება, სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ტურიზმზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერით. მოსალოდნელია, რომ აღნიშნული კუთხით დაგეგმილი ქმედებები რეგიონის ადგილობრივ მოსახელობას მოუტანს პირდაპირ სარგებელს: საჯარო ინფრასტრუქტურის საიმედოობის, ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესების, კერძო სექტორის ინვესტიციების მოცულობის გაზრდის, განახლებული კულტურული მემკვიდრეობის ადგილებსა და ქალაქებში გაყიდვების რაოდენობის გაზრდის (ტურიზმთან დაკავშირებული საწარმოები) გზით. საერთო ჯამში, მოსალოდნელია მოსახლეობის შემოსავლის ზრდა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

ქვე-პროექტი „დაბა სტეფანწმინდაში ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის ისტორიული მუზეუმის კომპლექსის რეაბილიტაცია“ არის რეგიონული განვითარების მესამე პროექტის ნაწილი, რომელიც მომზადდა, განხილულ იქნა, დამტკიცდა და ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის პოლიტიკების შესაბამისად.

1.2 ინსტიტუციონალური სტრუქტურა

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ინსტიტუციონალურ და ფინანსურ შესაძლებლობათა გაძლიერებას, ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და მომსახურებაში სახსრების ინვესტირებას, ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი ეკონომიკური და სოციალური მომსახურების მდგრად საფუძველზე გაუმჯობესებას. მუნიციპალური განვითარების

ფონდი არის რეგიონული განვითარების პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია და პასუხისმგებელია მის ყოველდღიურ მართვაზე, გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების ჩათვლით.

მუნიციპალური განვითარების ფონდი ამზადებს და მსოფლიო ბანკს წარუდგენს რეგიონული განვითარების პროექტის ფარგლებში ქვე-პროექტების შეფასების ანგარიშებს, რომელთაც თან ერთვის ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური უსაფრთხოების დოკუმენტები, როგორცაა გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვა გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმასთან ერთად ან გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა, რომელიც მომზადებულია მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის გამოყენებით, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, განსახლების სამოქმედო გეგმა.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო არის პასუხისმგებელი ყაზბეგის მუზეუმის კომპლექსის ექსპლუატაციასა და მოვლა-პატრონობაზე.

1.3 კანონმდებლობა და ნორმები

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად (2008), ქვე-პროექტი არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და გარემოზე ზემოქმედების ნებართვას.

ქვე-პროექტი უნდა განხორციელდეს მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების შემდეგი დოკუმენტების შესაბამისად:

- გარემოზე ზემოქმედების შეფასების უსაფრთხოების პოლიტიკა (OP/BP 4.01)
- ფიზიკური კულტურული რესურსების უსაფრთხოების პოლიტიკა (OP/BP 4.12)

აღნიშნული უსაფრთხოების პოლიტიკებისა და რეგიონული განვითარების მეორე პროექტის გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, ქვე-პროექტი კლასიფიცირდა B(+) კატეგორიად და საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების მიმოხილვისა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მომზადებას.

2. ქვე-პროექტის აღწერა

ქვე-პროექტი ითვალისწინებს დაბა სტეფანწმინდაში ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის ისტორიული მუზეუმის კომპლექსში შემავალი სამი შენობის - ისტორიული მუზეუმის შენობის, ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმისა და ნიკოლოზ ყაზბეგის (ალ. ყაზბეგის ბიძა) სახლის რეაბილიტაციას, ასევე მუზეუმის ეზოს კეთილმოწყობას.

კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო 2017 წელს რეგიონული განვითარების მესამე პროექტის ფარგლებში.

სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველ ფაზაში განხორციელებული იქნა შემდეგი სამუშაოები:

აღ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმი:

- ინტერიერში მოიხსნა ხის კიბე, ნაღესობა და პირველი სართულის ხის იატაკი.
- გაძლიერდა საძირკველი.
- გადაეწყო სამხრეთ აივანზე გასასვლელის თავზე არსებული თაღი.
- მოიხსნა გვიანდელი მოპირკეთება შენობის დასავლეთი ფასადის ჩრდილოეთ ნაწილში.
- მოიხსნა აივნის კერამიკული ფილების მოპირკეთება.

ნიკოლოზ ყაზბეგის სახლი:

- ინტერიერში მოიხსნა ნაღესობა და პირველი სართულის ხის იატაკი.
- მოიხსნა ძველი სახურავი და გაუკეთდა დროებითი გადახურვა.
- მოიხსნა ორი ნახევარწრიული კიბე.

განხორციელებული სამუშაოებისას გამოვლენილი ახალი გარემოებების მიხედვით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ შეტანილი იქნა ცვლილებები მუზეუმის კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტში. არსებულ პროექტში ცვლილებების შეტანა გააუმჯობესებს ვიზიტორთა მოძრაობის სქემას, ასევე მუზეუმი შეიძენს დამატებით საგამოფენო სივრცეებს.

კერძოდ, გათვალისწინებულია შემდეგი ცვლილებები:

- ალექსანდრე ყაზბეგის სახლის აღმოსავლეთ ფასადთან დაიდგმება საგამოფენო სივრცისათვის განკუთვნილი გათბობა-გაგრილების გარე აგრეგატები და მათი დაფარვის მიზნით მოეწყობა მსუბუქი კონსტრუქციის შირმა;
- ქვედა ეზოში მოხდება არსებული აუზის დემონტაჟი და ბილიკები გადაგეგმარდა ისე, რომ ვიზიტორი მიმართული იქნეს პირდაპირ ვიზიტორთა ცენტრისაკენ;
- ისტორიული მუზეუმის შენობის (სადაც დაგეგმილია ვიზიტორთა ცენტრის განთავსება) დამოუკიდებელი შესასვლელთან მცირედით შეიცვალა პანდუსების კონფიგურაცია და დაემატა ახალი პანდუსები;
- ვიზიტორთა ცენტრის გადახურვის პარაპეტზე უსაფრთხოების მიზნით მოეწყობა ლითონის მოაჯირი, გადახურვა მოეწყობა კომპაქტლამინატის დექით, ნაცვლად კერამიკული ფილისა;
- ვიზიტორთა ცენტრიდან საგამოფენო სივრცეში გადასასვლელად მოეწყობა მინის გალერეა, რომელიც გაუყვება არსებულ ქვის ღობეს;
- სველი წერტილები მოეწყობა ვიზიტორთა ცენტრის შენობაში. წინა პროექტით გათვალისწინებული იყო სველი წერტილების მოწყობა ნახევარწრიული ფორმის ღობის კედელში, სადაც დაიგეგმა დაცვის სივრცის განთავსება;
- მცირედი ცვლილებები იქნა შეტანილი ვიზიტორთა ცენტრის შიდა გეგმარებასა და მოსაპირკეთებელ მასალებში, დაიგეგმა მისი მცირედ გაფართოება აღმოსავლეთ ფასადთან;

- ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმში რესტავრირებული იქნება კარების ღიობებში შემორჩენილი ფიქალი ქვის მასიური ზღუდარები და იგივე დონეზე მოიჭიმება კირ-დულაბის იატაკი (ნაცვლად ხის იატაკისა). აღდგება კედლების პირვანდელი სახე (აღარ შეილესება), პირვანდელი სახე დაუბრუნდება ფანჯრების ღიობებს, აღდგება საკვამურები და საჰაეროები საარქივო მასალების მიხედვით, მოხდება ბუხრებისა და ნიშების რესტავრაცია, რომლებიც გამოჩნდა ნალესობის მოხსნის შემდეგ;
- ნიკოლოზ ყაზბეგის სახლის პროექტში შეიცვალა იატაკის მოწყობა და დაიგეგმა კირ-დულაბის იატაკის მოჭიმვა ნაცვლად ხის იატაკისა, კედლები გასუფთავდება, დაუბრუნდება პირვანდელი სახე და აღარ გაილესება, აღმოსავლეთ ფასადზე აღდგენილი იქნება კედლის სიბრტყე ავთენტური მასალით (აღარ მოეწყობა ნიშები). ნიშები დარჩება ინტერიერში, თუმცა გაუქმდება იქ, სადაც ხელს შეუშლის ნალესობის მოხსნის შემდეგ გამოვლენილი ბუხრების რესტავრაციას;
- სახანძრო და საევაკუაციო ნორმების გათვალისწინებით გიზარდა სამხრეთ გალავნის ზედა კარიბჭის სიგანე 4,25 მეტრამდე.

ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი დანარჩენი სამუშაოები არ იცვლება და მათი აღწერა მოცემულია ქვემოთ:

ისტორიული მუზეუმის შენობა აშენებულია გასული საუკუნის 80-იან წლებში. ამჟამად ძლიერ დაზიანებულია, ამიტომ მუზეუმის ადმინისტრაცია და ექსპონატები დღეისათვის განთავსებულია ალ.ყაზბეგის სახლ-მუზეუმსა და ნიკოლოზ ყაზბეგის სახლში. შენობა არის ერთსართულიანი, ფართობი - 485 მ². რეაბილიტაცია დაგეგმილია ისე, რომ მაქსიმალურად მოხდეს არსებული შენობის სტილის შენარჩუნება. ქვე-პროექტით გათვალისწინებულია:

- ფასადების გასუფთავება, შელესვა და დაზიანებული ადგილების მოპირკეთება არსებულის ანალოგიური ადგილობრივი ქვით;
- პანდუსის მოწყობა უნარშეზღუდული პირებისათვის;
- სადემონტაჟო სამუშაოები (ძველი ლითონის ვიტრაჟის, ხის ფანჯრების, აგურის კედლის, ძველი ნალესის მოხსნა);
- შიდა სარემონტო სამუშაოები: კედლების მოწყობა, იატაკზე მოჭიმვის მოწყობა, იატაკების მოპირკეთება კერამიკული ფილებით, კედლების და ჭერის მოპირკეთება, მეტალო-პლასტმასის ფანჯრების ჩასმა);
- სახურავიდან (ბრტყელი გადახურვა) ასფალტის ფენის დემონტაჟი, ახალი გადახურვის მოწყობა ჰიდროსაიზოლაციო მასალით და მოპირკეთება კერამო-გრანიტის ფილებით;
- შიდა წყალმომარაგების, კანალიზაციის, გათბობისა და ვენტილაციის სისტემების მოწყობა;
- შენობის ირგვლივ წყალარინების სისტემის მოწყობა.

რეაბილიტაციის შემდგომ ისტორიული მუზეუმის შენობის ცენტრალურ ნაწილში განთავსდება ტურიზმის რეგიონული საინფორმაციო ცენტრი, სივრცე დროებითი

გამოფენებისათვის და საკონფერენციო დარბაზი. შესასვლელიდან მარცხენა ფლიგელში განთავსდება კაფე და სუვენირების პავილიონი, ხოლო მარჯვენა ფლიგელში - მუზეუმის ადმინისტრაცია და ტუალეტი.

აღ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმი არის ორსართულიანი შენობა-ნაგებობა ფართით 410მ². ნიკოლოზ ყაზბეგის სახლი არის ერთსართულიანი შენობა, რომლის საერთო ფართი არის 475მ². სახლ-მუზეუმის რესტავრაციის პროექტი შედგენილი იქნა ისტორიული ფოტო და გრაფიკული მასალის და წინა წლების ანაზომების გათვალისწინებით. პირველ რიგში ჩატარდება შენობის საძირკვლის და ბზარების გასამაგრებელი სამუშაოები, აღდგება სადრენაჟო სისტემა. დასავლეთის ფასადზე მოიხსნება დაზიანებული რკინა-ბეტონის აივანი და მოეწყობა ახალი, სადაც განთავსდება ორი სათავსო, აივნის თავსა და ბოლოში და ხის სვეტებზე მოწყობილი გადახურვა. აივანი შემოიზღუდება ლითონის მსუბუქი მოაჯირით. ფასადის გვიანდელი ქვის პერანგი მოიხსნება, აღდგება კედლის წყობა და კარის ღიობები. ბანზე ამავალი ნახევარწრიული ქვის კიბესთან მიჯრით მოეწყობა ქვის სწორკუთხა კიბე, რომელიც ფიქსირდება ერთ-ერთ ძველ ფოტოზე. დასავლეთის ფასადზე აღდგება თლილი ქვის ფრონტონი, რომელიც შემკულია ოთხი სვეტით. სამხრეთის ფასადზე აღდგება აივანი. აღმოსავლეთის ფასადზე გადაეწყობა დაზიანებული კარის ღიობი. მთლიანად შენობის პერიმეტრზე მოეწყობა ამჟამად მოშლილი პარაპეტი 40 სმ სიმაღლის თლილი ქვის ბლოკებით. პარაპეტის გასწვრივ მოეწყობა ინტერიერში აღდგენილი ბუხრების საკვამურები თლილი ქვის ბლოკებით. სახურავის დაზიანებული თუნუქის საფარი აიყრება. სახურავზე მოეწყობა სამერცხლოური და გადაიფარება მაღალი ხარისხის ყავისფერი თუნუქის საფარით. შენობის ინტერიერში მოიხსნება დაზიანებული ნალესობა, შეიღესება ხელახლა და შეიღებება, აღდგება ბუხრები, შეიცვლება დაზიანებული ხის კიბე, რესტავრაცია ჩატარდება პირველი და მეორე სართულების ჭერს, იატაკებს და ხის-კარ-ფანჯარას. ბანზე ამავალი კიბის ქვეშ მოეწყობა ტუალეტი მომსახურე პერსონალისათვის. პირველ სართულზე მარჯვენა, პატარა ოთახის ნაწილი დაეთმობა სალაროსა და გარდერობს. მოეწყობა წყალმომარაგების, კანალიზაციის, განათების, სიგნალიზაციის სისტემები.

თავდაპირველად დაგეგმილია ისტორიული მუზეუმის გვიანდელი შენობის რესტავრაცია. ამ პერიოდში ყაზბეგის სახლ-მუზეუმი გააგრძელებს ფუნქციონირებას. მუზეუმის შენობის რესტავრაციის შემდგომ სახლ-მუზეუმიდან მასში გადავა ადმინისტრაცია და ფონდები (ექსპონატები).

ნიკოლოზ ყაზბეგის სახლის რესტავრაციის ფარგლებში მოიხსნება გადახურვის ბეტონის ფილები და აღდგება ბანიანი გადახურვის ხის კონსტრუქცია, რომელიც დაიფარება ჰიდროსაიზოლაციო მასალით. მოიხსნება ბეტონის კედელი ჩრდილო-დასავლეთით, დაიშლება სვეტების რიგი და ბაქანზე ქვის ფილების მოწყობის შემდეგ ხელახლა აღდგება რესტავრირებული სვეტების რიგი, რომელზეც დაეყრდნობა გადახურვის

კოჭოვანი სისტემა. ამავე მხარეს გადაეწყო და შეივსება ორი, ნახევარწრიული ქვის კიბე. აღდგება მესამე სწორკუთხა კიბე. ფასადებზე მოიხსნება ბლოკით ამოყვანილი ნაწილი და მოეწყო შერეული ქვის ფასადი კირის დულაბზე. შენობაში შეიცვლება ხის იატაკი და კარ-ფანჯარა. ინტერიერში მოიხსნება ძველი შელესილობა, ხელახლა შეიღესება და შეიღებება. კიბის უჯრედის ქვეშ მოეწყო ტუალეტი. ნაგებობის ირგლივ გამაგრდება საძირკველი და მოეწყო სარინელი წყლის გადასაყვანად.

სამივე შენობის გათბობა მოხდება ბუნებრივი აირით, რომელიც უკვე შეყვანილია ისტორიული მუზეუმის კომპლექსში. კომპლექსი უკვე მიერთებულია მუნიციპალური წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემებთან. ქვე-პროექტის ფარგლებში განახლდება არსებული კომუნიკაციები.

ნიკოლოზ ყაზბეგის სახლის ბანზე ამავალი კიბის ბაქანთან მოეწყო კარიბჭე, მის გასწვრივ აღდგება გალავანი ალ.ყაზბეგის სახლთან არსებულ კარიბჭემდე, რომელსაც ჩაუტარდება რესტავრაცია. ორივე კარიბჭეში მოეწყო ლითონის ჭიშკარი. აღდგება დაზიანებული გალავანი. რესტავრაცია ჩაუტარდება ალ. ყაზბეგის სახლის გასწვრივ, სვეტებს შორის არსებული ლითონის ცხაურიან ღობეს. კომპლექსის ტერიტორიაზე, დღეს არსებულ სანიტარულ კვანძის ადგილას, ოვალური კედლის შიგნით მოეწყო საზოგადოებრივი ტუალეტი. ეზოში შენარჩუნდება გაზონების წყობა, აღდგება ბორდიურები, ბილიკები. გაიწმინდება და აღდგება არსებული აუზი, მოეწყო განათების სისტემა, განთავსდება ბაღის სკამები, ურნები.

3. გარემოს არსებული მდგომარეობა

ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის ისტორიული მუზეუმი მდებარეობს დაბა სტეფანწმინდაში, ყაზბეგის ქუჩაზე. დაბა სტეფანწმინდა მდებარეობს მდ. თერგის სანაპიროზე თბილისიდან ჩრდილოეთით 157 კმ-ში ზღვის დონიდან 1 749 მ სიმაღლეზე.

მუზეუმ-კომპლექსის ტერიტორიაზე განთავსებულია სამი შენობა - ალ. ყაზბეგის სახლ-მუზეუმი, ნიკოლოზ ყაზბეგის (ალ. ყაზბეგის ბიძა) სახლი და ისტორიული მუზეუმი.

მუზეუმი დაარსდა 1934 წელს. 2009 წლიდან გაერთიანებულია სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში (საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო). მუზეუმი ამჟამად ფუნქციონირებს.

მუზეუმ-კომპლექსის ნაწილია ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის (1848-1890) მამისეული სახლი, რომელიც აშენებულია 1809-1814 წლებში. სახლ-მუზეუმში მწერლის მემორიალურ ნივთებთან და ბიბლიოთეკასთან ერთად, დაცულია არამარტო ხევის, არამედ კავკასიური კულტურისთვის დამახასიათებელი ნივთიერი და დოკუმენტური მასალა. კერძოდ, რეგიონის ყოფისთვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები (XIX-XX სს-ის დასაწყისის საოჯახო ნივთები,

აქსესუარები, ჭურჭელი, ფარდაგები, ხურჯინები), არქეოლოგიური მასალა (ნუმიზმატიკა, საბრძოლო და სამუშაო იარაღების ფრაგმენტები, სამკაული, მოსართავები, თიხისა და კერამიკის ჭურჭელი), საეკლესიო დანიშნულების ნივთები, წიგნები, ადგილობრივი მხატვრების ნამუშევრები. მუზეუმი მოქმედია. ისტორიული მუზეუმის შენობა აშენებულია გასული საუკუნის 80-იან წლებში. ამჟამად ძლიერ დაზიანებულია, ამიტომ მუზეუმის ადმინისტრაცია და ექსპონატები დღეისათვის განთავსებულია ალ.ყაზბეგის სახლ-მუზეუმში, ხოლო ფონდსაცავი ნიკოლოზ ყაზბეგის სახლში.

მუზეუმის ეზოშია მწერლის საფლავი. მუზეუმს მიმდებარედ განთავსებულია მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია. მუზეუმის ტერიტორია შემოღობილია. მის მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულია ფოსტის შენობა და კერძო სახლები. ყაზბეგის ქუჩა, რომელზეც მდებარეობს მუზეუმი, გასდევს მდინარე თერგის ხეობას.

4. პოტენციური ზეგავლენის ანალიზი

4.1 სამშენებლო ფაზა

4.1.1 სოციალური ზეგავლენა

- **სოციალური საკითხების ზოგადი მომიხილვა:** სოციალურ გარემოზე ისეთი მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოსალოდნელი არ არის.
- **განსახლების საკითხები:** ქვე-პროექტი არ ითვალისწინებს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შესყიდვას, არ არის მოსალოდნელი პერმანენტული ზეგავლენა კერძო ან იჯარით გაცემულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, კერძო საკუთრებაზე ან ბიზნესზე.
- **დასაქმების შესაძლებლობის შექმნა:** მშენებლობისა და მცირე ოპერირების ფაზაში მოსალოდნელია შეზღუდული და დროებითი დადებითი ზეგავლენა.
- **ხმაურთან, გამონაბოლქვთან და ვიბრაციასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის საკითხები:** შეზღუდული და დროებითი.
- **სატრანსპორტო მოძრაობის დარღვევა:** ქვე-პროექტთან დაკავშირებული სატრანსპორტო მოძრაობების შედეგად, დროებით შეიზღუდება ადგილობრივი სატრანსპორტო მოძრაობა.
- **უსაფრთხოება და წვდომა:** ქვე-პროექტის ფარგლებში სამუშაოების მიმდინარეობისას შეიზღუდება სარეაბილიტაციო ობიექტის მიმდებარე ტერიტორიებზე მისასვლელი, თუმცა საფრთხე არ ემუქრება არც ტრანსპორტის მოძრაობას და არც ფეხით მოსიარულეების უსაფრთხოებას.

4.1.2. ფიზიკური ზეგავლენა კულტურულ მემკვიდრეობაზე

არსებობს სამუზეუმო ექსპონატებისა და კოლექციების დაზიანების მცირე რისკი დაკავშირებული მათ გადაზიდვასა და დროებით განთავსებასთან პროექტის განხორციელების განმავლობაში. ალ. ყაზბეგის მემორიალურ სახლში განთავსებულია სამუზეუმო ექსპონატი, ხოლო ალ.ყაზბეგის ბიძის სახლში - ფონდსაცავი. ამ შენობებში სულ თავმოყრილია 31 414 ექსპონატი - არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, საბუნებისმეტყველო და ნუმიზმატიკური კოლექციები, ფერწერა, გრაფიკა, სკულპტურა, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ფოტომასალა, წერილობითი ძეგლები, ძვირფასი ლითონები, მემორიალური და საეკლესიო ნივთები, კინო და მუსიკალური საცნობარო მასალა. მუზეუმში დაცული კოლექციები, პროექტის განხორციელების განმავლობაში, განთავსდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის სააქტო დარბაზში, ხოლო მის დაცვას, მოვლას და უსაფრთხოებას მთლიანად უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო (იხ. დანართი 3, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანხმობა). ექსპონატების შეფუთვა, განთავსება და ტრანსპორტირება განახორციელა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე. ფართი, სადაც დროებით მოხდა ექსპონატების განთავსება, აღიჭურვება გისოსებით და სიგნალიზაციით, შეიქმნება მიკროკლიმატი.

თუ მშენებელი კონტრაქტორი სამუშაოების წარმოებისას აღმოაჩენს არქეოლოგიურ მასალას, მუნიციპალური განვითარების ფონდმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და მიიღოს ინსტრუქცია შემდგომი ქმედებების შესახებ. ფონდმა არ უნდა განახლოს სამუშაოები სანამ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო არ მისცეს თანხმობას, რომ განხორციელდა ყველა შესაბამისი ღონისძიება არქეოლოგიური მემკვიდრეობის ძეგლის კონსერვაციისთვის.

ოპერირების ფაზაში, ტურისტების გაზრდილი ნაკადის გამო შეიძლება ადგილი ექნეს შემდეგი სახის უარყოფით ზემოქმედებას: საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნის ზრდა, ვანდალიზმი.

4.1.3 გარემოზე ზეგავლენა

ნიადაგის დაზინძურება

ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოებით ნიადაგის დაზინძურების პოტენციური წყაროები შეიძლება იყოს:

- დიზელის საწვავი, ზეთები, სამუხრუჭე სითხე, ანტიფრიზი (დაღვრა/გაჟონვა მანქანა/დანადგარებიდან);
- ცემენტი, ბეტონი და სხვა დამაზინძურებლები;
- სამშენებლო ნარჩენები (შესაფუთი მასალები, ქვები, ხრეში, ცემენტის, ბეტონის, ხის და სხვა მასალების ნარჩენები).

წყლის დაბინძურება

წყლების დაბინძურება შეიძლება მოხდეს სხვადასხვა წყაროებიდან:

- საწვავის, ზეთების ან სხვა სახიფათო ნივთიერებების დაღვრა, განსაკუთრებით საწვავით გამართვის ან მანქანა-დანადგარების შეკეთების სამუშაოების დროს;
- ექსკავაციის შედეგად წარმოქმნილი შლამიანი წყლებით;
- სანიაღვრე წყლებში არსებული შლამით;
- მანქანა-დანადგარების გარეცხვისას;
- დაბინძურებული მიწის ან გრუნტის წყლების ზემოქმედებით.

მოსალოდნელია დაღვრების სწრაფი ჩადინება წყლის ობიექტებში, რის შემდეგაც ძნელი იქნება დაბინძურების ლოკალიზება, და გაიზრდება ქვემო დინებაში უფრო დიდი ფართობის დაბინძურების რისკი. ამიტომ მნიშვნელოვანია ლოკალიზების ღონისძიებების დაუყოვნებლივ გატარება წყლის დაბინძურების რისკის წარმოქმნის შემთხვევაში.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის შემდგომ გაშიშვლებული გრუნტი წვიმიან ამინდში შეიძლება ჩაირეცხოს სამუშაოების განხორციელების ადგილიდან.

ჰაერის დაბინძურება და ხმაური

ჰაერის დაბინძურების სავარაუდო ზეგავლენა მცირეა. ჰაერის დაბინძურება შეიძლება გამოიწვიოს მანქანა-დანადგარების მოძრაობამ/მუშაობამ ქვე-პროექტის ტერიტორიაზე და მასალების/ნარჩენების ტრანსპორტირებისას. ზემოქმედების წყაროები შეიძლება იყოს:

- მძიმე ტექნიკის მუშაობით გამოწვეული ხმაური და ვიბრაცია;
- გამონაბოლქვი (სატრანსპორტო საშუალებებიდან, ბულდოზერებისაგან, ექსკავატორებისაგან);
- მტვერი;
- მასალების მოწოდების/ტრანსპორტირების შედეგად წარმოქმნილი გამონაბოლქვი.

სამშენებლო ნარჩენები

ინერტული სამშენებლო ნარჩენები

სამშენებლო სამუშაოებისას მოსალოდნელია შემდეგი სახის ინერტული სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა:

- არსებული შენობის დაშლისა და საძირკვლის მოწყობის შედეგად წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები, როგორცაა ზედმეტი გრუნტი, ქვები, ბეტონი, აგური და ლითონი;
- არასახიფათო ნივთიერებებით დაბინძურებული ნიადაგი;

- შესაფუთი მასალები.

სახიფათო სამშენებლო ნარჩენები

მოსალოდნელია მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა მანქანა-დანადგარების ტექნიკური მომსახურების სამუშაოების შედეგად, როგორცაა:

- თხევადი საწვავი;
- ზეთები, ჰიდრავლიკური სითხე;
- ქიმიურ ნივთიერებების, მაგ. ანტიფრიზი;
- დაბინძურებული ნიადაგი;
- გაჟონვის საწინააღმდეგო მასალები, რომლებიც გამოყენებული იქნა ზეთისა და ქიმიური ნივთიერებების შესაწოვად;
- მანქანის/ძრავის ფილტრის კარტრიჯები;
- ზეთიანი ტილოები, ნახმარი ფილტრები, დაბინძურებული ნიადაგი და ა.შ.

ტრანსპორტთან დაკავშირებული ზეგავლენა

შესაძლოა ადგილი იქნეს შემდეგი სახის ზეგავლენებს:

- ხმაურის და ვიბრაციის გაზრდა;
- სატრანსპორტო საცობების წარმოქმნა,
- ჰაერის დაბინძურება გამონაბოლქვით,
- გზების ატალახება,
- ტრანსპორტის საწვავით გამართვის ან ტექნიკური მომსახურების დროს დაბინძურება.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაკარგვა მისი მოჭრის გამო

ნიადაგის საფარის ზედა ფენის დანაკარგებს მისი მოჭრის შედეგად შეიძლება ადგილი ექნეს მისი არასწორის შენახვისა და რეკულტივაციის შედეგად გადარეცხვის გამო.

მცენარეული საფარი და ლანდშაფტი

ქვე-პროექტი არ ითვალისწინებს ხეების ან ბუჩქების მოჭრას. ქვე პროექტი არ ითვალისწინებს ლანდშაფტის მნიშვნელოვან ცვლილებას.

4.2 ოპერირების ფაზა

მუზეუმის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პოტენციური ზეგავლენა შესაძლებელია იყოს შემდეგი:

- ტურისტების გაზრდილი ნაკადის გამო ნარჩენების წარმოქმნისა და ხმაურის გაზრდა;
- მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო მოძრაობის გაზრდა, რის გამოც შესაძლოა გაიზარდოს გამონაბოლქვი და ხმაური, ასევე წარმოიქმნას უსაფრთხოების პრობლემა.

დადებითი სოციალური ზეგავლენა უკავშირდება რაიონში ტურისტული ინფრასტრუქტურის გაზრდას, რასაც დასაქმების მხრივ დადებითი გავლენა ექნება ადგილობრივი მოსახლეობაზე.

5. გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, ასევე კულტურულ მემკვიდრეობაზე, მოსალოდნელი ზეგავლენის გათვალისწინებით მომზადდა გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა. გარემოსდაცვითი მიმოხილვა და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა არის კონტრაქტის ნაწილი და გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის განხორციელება სავალდებულოა კონტრაქტორისათვის.

კონტრაქტორს მოეთხოვება:

1. სამშენებლო მასალის შექმნა მხოლოდ ლიცენზირებული მომწოდებლისგან.
2. თუ კონტრაქტორს სურვილი აქვს მასალა მოიპოვოს კარიერიდან ან მდინარის კალაპოტიდან (ვიდრე ეს მასალები შეისყიდოს სხვა მომწოდებლისგან), მაშინ მან ინერტული მასალების ამოღებაზე უნდა მოიპოვოს ლიცენზია.
3. თუ კონტრაქტორს სურს აამუშაოს საკუთარი ბეტონის ქარხანა (ვიდრე შეისყიდოს ეს მასალა სხვა მომწოდებლისგან) ასეთ შემთხვევაში მან უნდა მოამზადოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს აღწერის ტექნიკური ანგარიში და შეათანხმოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან.
4. სამშენებლო ნარჩენები უნდა განთავსდეს უახლოეს მუნიციპალურ ნაგასაყრელზე წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. უნდა მოხდეს ნარჩენების განთავსების თაობაზე ჩანაწერების წარმოება, როგორც სათანადო მართვის დამამტკიცებელი საბუთი.

5. თუ კონტრაქტორს სამუშაოების შედეგად წარმოექმნება 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენი ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენი ან ნებისმიერი ოდენობით სახიფათო ნარჩენი წლის განმავლობაში, მომზადებული უნდა იქნეს და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარედგინოს დასამტკიცებლად კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა და ნარჩენების ინვენტარიზაციის ანგარიში, დანიშნული უნდა იქნეს გარემოსდაცვითი მმართველი და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარედგინოს ინფორმაცია მის შესახებ „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად.

ლიცენზიების ასლები, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში (შეთანხმებული გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან) და შეთანხმება ნარჩენების განთავსების თაობაზე მგფ-ში წარმოდგენილი უნდა იქნეს სამუშაოების დაწყებამდე.

დაცული უნდა იქნეს GOST და SNIP ნორმები.

გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
წინა-სამშენებლო ფაზა			
ზოგადი პირობები	საქართველოს კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის მოთხოვნების შეუსრულებლობა	<p>კონტრაქტორის მიერ მოპოვებული უნდა იქნეს შემდეგი ნებართვები/ლიცენზიები და მათი ასლები წარმოდგენილი უნდა იქნეს მგფ-ში:</p> <ul style="list-style-type: none"> - შეთანხმება ნარჩენი გრუნტის განთავსების ადგილზე; - ინერტული მასალების მოპოვების ლიცენზია; - ასფალტის წარმოების გარემოზე ზემოქმედების ნებართვა; - გარემოზე ზემოქმედების ნებართვა იმ სამშენებლო მასალების წარმოებაზე, რომელიც განეკუთვნება ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას; - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში, რომელიც შეთანხმებულია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან; - შეთანხმება საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების განთავსებაზე უახლოეს ნაგავსაყრელზე. 	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
<p>მუზეუმის ექსპონატების უსაფრთხო ტრანსპორტირება და განთავსება</p>	<p>მუზეუმის ექსპონატების დაზიანება</p>	<p>კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო უზრუნველყოფს მუზეუმის ექსპონატების ტრანსპორტირებას მათი დროებითი განთავსების ადგილას - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში რეაბილიტაციის სამუშაოების დაწყებამდე. მუზეუმის ექსპონატების დროებითი საცავი წინასწარ უნდა იქნას აღჭურვილი გისოსებით და სიგნალიზაციით. უზრუნველყოფილი უნდა იქნას შესაბამისი მიკროკლიმატის შექმნა ექსპონატების შენახვისათვის. ექსპონატების შეფუთვა, გადაზიდვა, განთავსება უნდა მოხდეს ისე, რომ თავიდან იქნას აცილებულია მათი დაკარგვის ან დაზიანების საფრთხე.</p>	<p>კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო ყაზბეგის მუნიციპალიტეტი</p>
<p>ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება დაგეგმილ საქმიანობაზე</p>	<p>მსოფლიო ბანკისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შეუსრულებლობა</p>	<p>კონტრაქტორმა სამშენებლო ტერიტორიაზე უნდა განათავსოს საინფორმაციო ბანერი. ბანერზე განთავსებული უნდა იქნეს ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ მგფ-ში, ზედამხედველ კომპანიასა და ადგილობრივ მუნიციპალიტეტში, რომელსაც ადგილობრივმა მოსახლეობამ შესაძლოა მიმართოს გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით საჩივრის არსებობის შემთხვევაში. ბანერი დამზადებული უნდა იყოს ამინდის უარყოფითი პირობებისადმი გამძლე მასალისაგან. ბანერზე წარწერები განთავსებული უნდა იქნეს ქართულ და ინგლისურ ენებზე.</p>	<p>მშენებელი კონტრაქტორი,</p>

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
<p>გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების სტრუქტურა</p>	<p>ქართული კანონმდებლობისა და მსოფლიო ბანკის მოთხოვნებთან შეუსაბამობა, მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე</p>	<ul style="list-style-type: none"> - ბუნებრივი და სოციალური გარემოს დაცვაზე და EMP-ის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა; - მუშახელის ტრენინგი ბუნებრივი და სოციალური გარემოს დაცვასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებებზე; - გარემოზე ზემოქმედების შესარბილებლად საჭირო აღჭურვილობის უზრუნველყოფა 	<p>მშენებელი კონტრაქტორი</p>
მშენებლობის ფაზა			
<p>სამშენებლო სამუშაოები, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> - ობიექტის ტერიტორიის მომზადება - მიწის სამუშაოები - - შენობა-ნაგებობების მოწყობა 	<p>ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება</p>	<ul style="list-style-type: none"> - მანქანა-დანადგარები უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში, რომ არ მოხდეს მუშახელისა და ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხება გამონაბოლქვით. უნდა განხორციელდეს მანქანა-დანადგარების რეგულარული ტექნიკური მომსახურება, გაუმართაობის გამო გამონაბოლქვის გაზრდის თავიდან ასაცილებლად. - დიზელის ძრავები რეგულარულად უნდა შემოწმდეს და შეკეთდეს ემისიების მინიმუმის მიზნით. ყველა მანქანა-დანადგარი ასევე უნდა შეკეთდეს საჭიროებისამებრ, რათა უზრუნველყოფილი 	<p>მშენებელი კონტრაქტორი</p>

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
<p>- სამშენებლო ტექნიკის ექსპლოატაცია</p> <p>- სატრანსპორტო ოპერაციები</p>		<p>იყო მათი გამართული მუშაობა და პოტენციური ემისიების თავიდან აცილება;</p> <ul style="list-style-type: none"> - სატრანსპორტო საშუალებების საწვავით გამართვა უნდა მოხდეს ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული ემისიები (საწვავის შენახვისათვის არ უნდა იქნეს გამოყენებული ღია ავზები); - მასალებისა და ნარჩენების ტრანსპორტირება უნდა მოხდეს დახურული ტრანსპორტით მტვრის წარმოქმნის შემცირების მიზნით. სამშენებლო ტერიტორია უნდა მოირწყას საჭიროებისამებრ; მუშები აღჭურვილი უნდა იქნენ პერსონალური დაცვის საშუალებებით; - დემონტაჟის სამუშაოების დროს ტერიტორია უნდა დატენიანდეს ან დამონტაჟდეს მტვრის შემაკავებლები; - გარემო (ტროტუარები, გზები) თავისუფალი უნდა იყოს წარმოქმნილი ნამსხვრევებისაგან; - მიწის სამუშაოები უნდა შეჩერდეს ძლიერი ქარის დროს; - სამშენებლო მასალები და ყრილები უნდა იქნეს გადახურული; 	

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		<ul style="list-style-type: none"> - მოჭრილი/ამოღებული გრუნტი უნდა იქნეს დასაწყობებული შესაბამისად; - აკრძალულია სამშენებლო მასალების ან ნარჩენების დაწვა, - აკრძალულია მანქანების და მძიმე ტექნიკის დაუტვირთავი მუშაობა. - ტერიტორიის რეკულტივაცია უნდა მოხდეს სამუშაოების დასრულებისთანავე. 	
	ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება	<ul style="list-style-type: none"> - მასალების გადაზიდვისას ტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარე უნდა იქნეს შეზღუდული დასახლებულ ადგილებში უსაფრთხო დონემდე; - უნდა განხორციელდეს მანქანა-დანადგარების პერიოდული ტექნიკური კონტროლი და შეკეთება საჭიროებისამებრ; - სატრანსპორტო ოპერაციები უნდა განხორციელდეს მხოლოდ დღის საათებში - ტექნიკის უქმი სვლა არ უნდა იყოს ნებადართული. გამოყენებული უნდა იქნეს შესაბამისი მაცურები; - უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მანქანა-დანადგარების გამართული მუშაობა. 	მშენებელი კონტრაქტორი
	ნიადაგის საფარის დაზიანება	<ul style="list-style-type: none"> - სამშენებლო ტერიტორია და მისასვლელი გზები უნდა იქნეს მონიშნული სამუშაოების დაწყებამდე; - სამუშაო ტერიტორიის საზღვრები უნდა იქნეს დაცული სამუშაოების განხორციელების დროს; 	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		<p>- სამუშაო უბნებიდან ნიადაგის საფარის მოხსნა (შემღობისდაგვარად) და დასაწყობება შემდგომი გამოყენების მიზნით უნდა მოხდეს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის (2014) მოთხოვნების შესაბამისად</p> <p>ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობება უნდა მოხდეს არაუმეტეს 2 მეტრი სიმაღლის გროვებად, რომლის გვერდის დახრილობის კუთხე არ აღემატება 45^o-ს. ნიადაგის დასაწყობების ადგილის შერჩევასა და გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი:</p> <p>დასაწყობების ადგილი ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ არ მოხდეს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ჩამოშლა, დატკეპვნა ტექნიკის მოძრაობის შედეგად, ასევე დაბინძურება სხვა მასალებით.</p> <p>ნიადაგის ნაყოფიერი ფენა გამოყოფილი უნდა იქნეს გრუნტისაგან (ნიადაგის ქვედა ფენისაგან);</p> <p>ნიადაგის დასაწყობება უნდა მოხდეს ისე, რო არ იყოს წყლით წარეცხვის/დატბორვის საფრთხე;</p> <p>დაუშვებელია ნიადაგის დასაწყობება მდინარიდან/წყლის ნაკადებიდან 25 მეტრზე ნაკლებ მანძილზე, ადგილმდებარეობის ტოპოგრაფიის თავისებურების გათვალისწინებით;</p>	

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		<p>დაუშვებელია ნიადაგის საფარის მოხსნა ძლიერი წვიმის დროს;</p> <p>დასაწყობებული ნიადაგი გამოყენებული უნდა იქნეს ქვე-პროექტის ტერიტორიის რეკულტივაციისათვის სამუშაოების დასრულებისთანავე. საჭიროებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს მიწის საფარის მოსწორება, რეკულტივაცია, და ბუნებრივი მცენარეული საფარის სწრაფად აღდგენის ღონისძიებების განხორციელება.</p> <p>საჭიროების შემთხვევაში კონტრაქტორმა უნდა განახორციელოს დასაწყობებული ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები, როგორცაა ეროზიის საწინააღმდეგო საფარის მოწყობა, ზედაპირის დატკეპნა და/ან დაგრუნტვა. დასაწყობებული ნიადაგი დაცული უნდა იქნეს წყლის ნაკადით ჩარეცხვისაგან ბერმების ან მისი ექვივალენტის მოწყობით გროვების ირგვლივ, საჭიროებისამებრ.</p> <p>- დასაწყობებული ნიადაგი გამოყენებული უნდა იქნეს ტერიტორიის რეკულტივაციისათვის სამუშაოების დასრულებისთანავე.</p> <p>გრუნტის ქვედა ფენის დასაწყობება უნდა მოხდეს არა უმეტეს 3 მ სიმაღლის გროვებად, რომელთა</p>	

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		<p>გვერდების დახრილობის კუთხე არ აღემატება 60°-ს. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი:</p> <ul style="list-style-type: none"> - დასაწყობების ადგილი იმგვარად უნდა იქნეს შერჩეული, რომ არ მოხდეს მისი დატკეპვნა ტექნიკის მოძრაობის შედეგად ან დაბინძურება სხვა მასალებით; - გრუნტი გამოყოფილი უნდა იქნეს ნიადაგის ნაყოფიერი ფენისაგან. 	
	წყლისა და ნიადაგის დაბინძურება	<ul style="list-style-type: none"> - პერსონალის უზრუნველყოფა ტუალეტებითა და აბაზანებით და წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების ცენტრალიზებული ჩაშვება საკანალიზაციო სისტემაში, თუ ეს შესაძლებელია ან დროებითი ნაგებობების მოწყობა - ტექნიკის გამართულობის უზრუნველყოფა - ტექნიკის საწვავით გამართვა მხოლოდ სათანადოდ აღჭურვილი საწვავმზიდებით, ამასთან სავალდებულოა წყვეთშემკრებების გამოყენება - ტექნიკის საწვავით გამართვა და ტექ. მომსახურება მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ უბანზე, სადაც მოხსნილია ნიადაგი და მოწყობილია ხრეშოვანი საფარი, ზეთები, საწვავი და გამხსნელები დასაწყობებული უნდა იქნეს მხოლოდ 	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		<p>სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, საწვავის, ზეთებისა და გამხსნელების დასაწყობება არ უნდა მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის ადგილის სიახლოვეს;</p> <ul style="list-style-type: none"> - უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამშენებლო მასალების სათანადოდ დასაწყობება სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; - სახიფათო ან ტოქსიკური მასალები დროებით განტავსებული უნდა იქნეს უსაფრთოხ კონტენერებში შესაბამისი წარწერით (შემადგენლობა და მოპყრობის პირობები). სამშენებლო მოედანზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაღვრის შემთხვევაში შემკავებელი მასალები (სორბენტები, კვიშა, ნახერხი); - უზრუნველყოფილი უნდა იქნეს დაღვრის დაუყოვნებლივ გაწმენდა, დაბინძურებული ნიადაგის/ გრუნტის ტერიტორიიდან გატანა; - არ უნდა მოხდეს ცემენტის ან ბეტონის ნარჩენების ჩარეცხვა/ჩაყრა ნებისმიერ წყლის ობიექტში. - სამუშაოების დასრულებისთანავე უნდა მოხდეს ტერიტორიის გაწმენდა სამშენებლო ნარჩენებისგან. 	

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
	გარემოს დაბინძურება მყარი და თხევადი ნარჩენებით	<ul style="list-style-type: none"> - აკრძალულია ნარჩენების დაწვა; - არ უნდა იქნეს გამოყენებული ტყვია შემცველი საღებავები; - სხვადასხვა სახის ნარჩენები (სახიფათო, სამშენებლო, საყოფაცხოვრებო) უნდა შეგროვდეს სეპარირებულად. ნარჩენების დროებითი განთავსებისათვის უნდა იქნეს გამოყოფილი სპეციალური ადგილი და განხორციელდეს დაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები; - ინერტული ნარჩენები და ჭარბი გრუნტი უნდა განთავსდეს ვანი მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოყოფილ ტერიტორიაზე (იხ. დანართი 8); - სახიფათო და ტოქსიკური ნარჩენები უნდა განთავსდეს უსაფრთხო კონტეინერებში, რომლებზეც მითითებული იქნება მათი შემადგენლობა და მოპყრობის პირობები; აკრძალულია სახიფათო ნარჩენების უკონტროლო განთავსება სამშენებლო ტერიტორიაზე. სახიფათო ნარჩენები უნდა მოთავსდეს გაჟონვისაგან დაცულ კონტეინერში რათა თავიდან იქნას აცილებული დაღვრა და გაჟონვები; სახიფათო ნარჩენების გადაცემა უნდა მოხდეს ასეთი ნარჩენების მართვაზე ლიცენზიის მქონე კომპანიისთვის, მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე; 	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		<ul style="list-style-type: none"> - ნებისმიერი სახის სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნარჩენი ტერიტორიიდან გატანილი უნდა იქნეს ხშირად; - ნარჩენების განკარგვის შესახებ უნდა იწარმოებოდეს დოკუმენტაცია, რათა უზრუნველყოფილი იქნას მისი სათანადოდ განკარგვის მტკიცებულება. 	
	ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე	<ul style="list-style-type: none"> - ტექნიკის მოძრაობის სიჩქარე უნდა იქნას შეზღუდული - ტექნიკის გადაადგილება მოხდეს მხოლოდ დადგენილი მარშრუტებით - ტრანსპორტის მოძრაობის სიხშირე უნდა იქნას შეზღუდული 	მშენებელი კონტრაქტორი
	მოსახლეობის და პერსონალის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკები	<p>სამშენებლო ადგილი უნდა იქნეს სათანადოდ დაცული და მშენებლობასთან დაკავშირებული სატრანსპორტო მოძრაობის დარეგულირებული. ეს მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> - გზის მაჩვენებლების, გამაფრთხილებელი ნიშნების, ბარიერების განთავსებას. სამშენებლო ტერიტორია იქნება მკაფიოდ შესამჩნევი, ხოლო პოტენციური რისკების შესახებ მოხდება საზოგადოების გაფრთხილება. - სამშენებლო ადგილები და ყველა თხრილი უნდა იქნეს შემოღობილი და სათანადოდ დაცული 	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		<p>უნებართვო შესვლისაგან, განსაკუთრებით ბავშვებისთვის;</p> <ul style="list-style-type: none"> - უნდა მოეწყოს სათანადო განათება და განთავსდეს უსაფრთხოების ნიშნები; <p>მოხდება სამუშაო საათების ადგილობრივ სატრანსპორტო მოძრაობის სქემასთან მორგება, მასალებისა და ნარჩენების ტრანსპორტირება არ უნდა მოხდეს პიკის საათებში ან პირუტყვის გადაადგილების დროს.</p> <ul style="list-style-type: none"> - ტექნიკის მოძრაობის სიჩქარე უნდა იქნას შეზღუდული - ტექნიკის გადაადგილება მოხდეს მხოლოდ დადგენილი მარშრუტებით 	
	კერძო საკუთრებაში არსებული ქონების დაზიანება	<ul style="list-style-type: none"> - ტექნიკის გადაადგილება მხოლოდ დადგენილი მარშრუტებით - ტექნიკის მოძრაობის სიჩქარის შეზღუდვა - მიყენებული ზიანი სრულად უნდა იქნეს ანაზღაურებული კონტრაქტორის მიერ 	მშენებელი კონტრაქტორი
	კონფლიქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან ან სხვა ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან	<ul style="list-style-type: none"> - მოსახლეობასთან შეხვედრა (საჭიროების შემთხვევაში) - საჩივრების მიღება და მათზე რეაგირება 	მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
	პროფესიული ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკები	<ul style="list-style-type: none"> - სამუშაოების დაწყებამდე მუშახელის ინფორმირება მოსალოდნელი რისკების შესახებ და ინსტრუქტაჟი შრომის უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით, ზემოხსენებული უზრუნველყოფილი უნდა იქნას სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე და მათი მსვლელობისას - პერსონალის საჭირო პირადი დაცვის საშუალებების (მაგ, ჩაფხუტები, ხელთათმანები, სხვა) მომარაგება და მათი სწორედ გამოყენება - ტექნიკის ექსპლოატაციისას უსაფრთხოების უზრუნველყოფა - გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება მაღლი რისკის უბნებზე - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისა და ხმაურის ზემოქმედების შესამცირებლად რეკომენდირებული ღონისძიებების გატარება 	მშენებელი კონტრაქტორი
	ზემოქმედება კულტურულ მემკვიდრეობაზე	<ul style="list-style-type: none"> - ტერიტორიის დასუფთავება და რეკულტივაცია სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთანავე - სამუშაოების შეჩერება მიწის სამუშაოებისას არქეოლოგიური ობიექტის ან არტეფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში, კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინფორმირება აღმოჩენის შესახებ და საქმიანობის განახლება მხოლოდ სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ. 	მგფ, მშენებელი კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
ტოქსიკური მასალების მართვა	ტოქსიკური/სახიფათო მასალებისა და ნარჩენების მართვა	<ul style="list-style-type: none"> - საპროექტო ტერიტორიაზე დროებითი განთავსებისთვის, ყველა სახიფათო და ტოქსიკური სუბსტანციები უნდა იყოს მარკირებული და დეტალური ინფორმაცია დატანილი შემადგენლობისა და მოპყრობის შესახებ; - სახიფათო სუბსტანციების კონტეინერები უნდა იყოს წყალგაუმტარი, რათა თავიდან ავიცილოთ დაღვრა; - სახიფათო ნარჩენები უნდა იყოს ტრანსპორტირებული ლიცენზირებული გადამზიდი მიერ და განთავსდეს ლიცენზირებულ ადგილას. 	კონტრაქტორი
სოციალური რისკის მართვა	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტი	<ul style="list-style-type: none"> - ადგილობრივი საკონტაქტო პირის დანიშვნა, რომელიც პასუხისმგებელია ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციასა და მოთხოვნების/საჩივრების მიღებაზე. - ადგილობრივი თემების გაცნობა გარე სამუშაო ძალასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის პოტენციური კონფლიქტების იდენტიფიცირებისა და პროაქტიულად სამართავად. - ადგილობრივი საზოგადოების ცნობიერების ამაღლება სექსუალური დაავადების რისკებთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდება გარე სამუშაო ძალის არსებობას და ადგილობრივი თემების მოცვა ცნობიერების ამაღლებაში. - მოსახლეობის სათანადოდ ინფორმირება მშენებლობის და სამუშაო გრაფიკების, მომსახურების შეწყვეტის, შემოვლითი 	

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		<p>მარშრუტებისა და დროებითი ავტობუსის მარშრუტების, აფეთქებისა და ნგრევის შესახებ.</p> <ul style="list-style-type: none"> - სამშენებლო სამუშაოების შეზღუდვა ღამით. აუცილებლობის შემთხვევაში, ყურადღებით დანიშნოს ღამის საათები და ეცნობოს ზეგავლენილ მოსახლეობას, რათა მათ შეძლონ მიიღონ საჭირო ზომები. - არანაკლებ ხუთი დღე სერვისის შეფერხების შემთხვევაში (წყლის, ელექტროენერჯის, სატელეფონო და ავტობუსის მარშრუტების ჩათვლით) ეცნობოს დაზარალებულ მოსახლეობას განცხადებებით საპროექტო ტერიტორიაზე, ავტობუსის გაჩერებებზე, დაზარალებულ სახლებზე/ბიზნეს საკუთრებებზე. 	
	შრომის მართვა	<ul style="list-style-type: none"> - სამუშაო ბანაკის რაც შეიძლება შორს განთავსება ადგილობრივი მოსახლეობისგან. - დაიწყეთ სამუშაო ბანაკის განთავსება და ფუნქციონირება მეზობელ თემებთან კონსულტაციით. - რამდენადაც შესაძლებელია, უნარშეზღუდულ ან ნახევრად კვალიფიციურ მუშაკთა შეგროვება ადგილობრივი თემებიდან. დასაქმებულთა გადასამზადებელი ტრენინგი ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის გაზრდის მიზნით, სადაც და როცა იქნება შესაძლებელი. 	კონტრაქტორი

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		<ul style="list-style-type: none"> - ადეკვატური სამუშაო ნაგებობების (საპირფარეშოები და გადასავლები ადგილები) უზრუნველყოფა სამუშაო ტერიტორიაზე, ადეკვატური აღჭურვილობებით, ცივი და ცხელი წყლითა და ხელის გასაშრობი დანადგარებით. დროებითი სექტიკური ავზების შექმნა ყველა საცხოვრებელი სამუშაო ბანაკისთვის მიმდებარე წყლის კალაპოტების დაბინძურების გამოწვევის გარეშე. - დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება ადგილობრივ მოსახლეობასთან საერთო ურთიერთობის მენეჯმენტზე, საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად ქცევის კოდექსის დადგენა და მისი მკაცრად დაცვის მოთხოვნა, მათ შორის მუშებისა გათავისუფლებასა და ადეკვატურ ფინანსურ ჯარიმებზე. 	
ექსპლუატაციის ფაზა			
მუზეუმის ოპერირება	გარემოს დაბინძურება მყარი ნარჩენებით და ჩამდინარე წყლებით	<ul style="list-style-type: none"> - სანაგვე ურნების განთავსება ობიექტის ტერიტორიაზე - მყარი ნარჩენების რეგულარულად გატანა მუნიციპალიტეტის საყოფაცხოვრებო ნაგავსაყრელზე, მმართველ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე - ნარჩენების წვის აკრძალვა 	მუზეუმის ადმინისტრაცია

საქმიანობა	მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება	შემარბილებელი ღონისძიება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი
		- საკანალიზაციო სისტემისა და ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა.	

6. გარემოსდაცვითი მონიტორინგი

მუნიციპალური განვითარების ფონდი პასუხისმგებელია განახორციელოს გარემოზე ზემოქმედების შერბილების ღონისძიებების მონიტორინგი. საკონსულტაციო კომპანია, რომელიც დაქირავებულია, როგორც სამუშაოების ზედამხედველი, ასევე დაეხმარება მგფ-ს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ქვე-პროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოების გარემოსდაცვითი და სოციალური შესაბამისობა. ქვეპროექტის გარემოსდაცვითი მონიტორინგი განხორციელდება ქვემოთ მოცემული გეგმის შესაბამისად.

გარემოზე ზემოქმედების გეგმის განხორციელების თაობაზე ანგარიში წარმოდგენილი იქნება მგფ-ის ყოველკვარტალურ ანგარიშებში. მგფ ასევე უზრუნველყოფს კონტრაქტორისაგან ყველა ნებართვის, ლიცენზიებისა და შეთანხმების წერილების ასლების მიღებას და შენახვას, რომლებიც კონტრაქტორს მოეთხოვება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ინერტული მასალების მოპოვებისათვის, ასფალტის ქარხნის ოპერირებისათვის, სხვადასხვა სახის ნარჩენების განთავსებისათვის.

7. გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის დარღვევის გამოსწორება

მგფ, როგორც სამშენებლო სამუშაოების დამკვეთი, პასუხისმგებელი იქნება კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე, რაც ასევე მოიცავს გმგ შესრულებას.

კონტრაქტორი პასუხისმგებელია საქმიანობა განახორციელოს საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად. შეუსაბამობების გამოვლენის შემთხვევაში კონტრაქტორი პასუხისმგებელი იქნება დაფაროს გარემოსთვის მიყენებული ზიანის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი.

8. განხორციელების ღირებულება

გარემოსდაცვითი მართვის გეგმით შემოთავაზებული ინდივიდუალური შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების ხარჯები მცირეა და შესაბამისად, რთულია მათი გამოცალკევება სამშენებლო ოპერაციების ხარჯებიდან. მიუხედავად ამისა, რეკომენდირებულია, რომ მასალათა და სამუშაოთა მოცულობების ჩამონათვალი, რომელიც სატენდერო დოკუმენტაციაში არის მოცემული შეიცავდეს ნარჩენებისა და დარჩენილი მასალის განკარგვის პუნქტს. გარემოსდაცვით პრინციპებთან შესატყვისობისათვის საჭირო სხვა ხარჯები სავარაუდოდ სხვადასხვა სამშენებლო საქმიანობის ფასებში უნდა იქნას ინტეგრირებული.

9. საჩივრების გადაჭრის მექანიზმი

საჩივრების განმხილველი კომისია ჩამოყალიბდა ქვე-პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობის საჩივრების გადაწყვეტის მიზნით. ყაზბეგის მუნიციპალიტეტმა წარმოადგინა პასუხისმგებელი პირი - დიმიტრი შიოლაშვილი, არქიტექტურისა და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის სამსახურის უფროსი (მობ: 591993137, ელ-ფოსტა: mito.shiolashvili@gmail.com).

მუნიციპალური განვითარების ფონდიდან საკონტაქტო პირი გახლავთ ნუცა გუმბერიძე (ტელ: +995 598 88 20 19, feedback@mdf.org.ge, დ. აღმაშენებლის 150, მე-3 სართული, 0112 თბილისი, საქართველო).

იმ შემთხვევაში თუ საჩივარი არ გადაიჭრება ადგილობრივ დონეზე, მისი გადამისამართება მოხდება სსიპ „ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში“. საჩივრების მონიტორინგის მიზნით, მუნიციპალური განვითარების ფონდი მოახდენს რეგისტრაციას ყველა საჩივრის, კომენტარის და ასევე, როგორც მოხდა საჩივრის გადაწყვეტა. საჯარო კონსულტაციის ფარგლებში ადგილობრივი მოსახლეობას ინფორმაცია მიეწოდება განხილულ საკითხთან დაკავშირებით და საკონტაქტო პირის შესახებ. საჩივრებთან დაკავშირებული საკონტაქტო ინფორმაცია შემდეგში ხელმისაწვდომი იქნება ვებ-გვერდზე და როგორც მგფ-ის ასევე კონტრაქტორის მიერ მოხდება საჩივრების ჟურნალის წარმოება.

8. მონიტორინგის გეგმა

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულ ობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მიწოდება	სამშენებლო მასალების შექმნა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლიას ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მომწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური მდგრადობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
სამშენებლო მასალების და ნარჩენების ტრანსპორტირება; სამშენებლო მექანიზმების გადაადგილება	სატრანსპორტო საშუალებების და მექანიზმების ტექნიკური მდგომარეობა; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების გადაზიდვა დახურული მანქანებით;	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი ინსპექტირება როგორც სამუშაო, ასევე არა სამუშაო საათებში	მიწისა და ჰაერის ემისიებით დაბინძურების შემცირება; ხმაურით და ვიბრაციით ადგილობრივი მოსახლეობის შეწუხების შეზღუდვა;	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი, საპატრულო პოლიცია

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულ ობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი დროისა მარშრუტების დაცვა.				ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევის მინიმუმამდე შემცირება.	
მიწის სამუშაოები	ამოღებული გრუნტის დროებითი შენახვა წინასწარ განსაზღვრულ და შეთანხმებულ ტერიტორიაზე; ამოღებული გრუნტის უკუჩაყრა და/ან საბოლოო განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე	სამშენებლო ტერიტორია	შემოწმება არქეოლოგების მიერ პერმანენტული შემოწმება	მიწის სამუშაოების პროცესში	სამშენებლო და მისი მიმდებარე ტერიტორიის სამშენებლო ნარჩენებით თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
ინერტული მასალების წყარო	მასალების შექმნა არსებული, ლიცენზირებული მომწოდებლებისაგან, თუ ეს შესაძლებელია;	მოპოვების ადგილებში	დოკუმენტებისა და სამუშაოების ინსპექტირება	ინერტული მასალის მოპოვების პერიოდში	ეროზიის შემცირება და ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულ ობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	<p>სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღება კონტრაქტორის მიერ და ლიცენზიის პირობების მკაცრი დაცვა;</p> <p>კარიერების დაყოფა ტერასებად, დამუშავებული ადგილების რეაბილიტაცია და ლანდშაფტთან ჰარმონიზება;</p> <p>მდინარეში ქვიშა-ხრემის მოპოვება წყლის ნაკადის გარეთ, დამცავი ბარიერების მოწყობა ექსკავაციის ადგილსა და წყლის ნაკადს შორის. დაუშვებელია მანქანების შესვლა წყლის ნაკადში.</p>				<p>დეგრადირების მინიმიზაცია;</p> <p>სედიმენტებით წყლის დაბინძურების, ასევე ჰიდრობიონტო ა საარსებო პირობების დარღვევის შემცირება.</p>	

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულ ობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა	სამშენებლო ნარჩენების დროებითი შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ნარჩენების დროული განთავსება ოფიციალურად გამოყოფილ ადგილებში.	სამშენებლო ტერიტორია; ნარჩენების განთავსების ტერიტორია	ინსპექტირება	პერიოდულად მშენებლობის პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო და მის მეზობლად მდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებისაგან დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი,
ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთ ა მიმოსვლის შეზღუდვა	სატრასპორტო მოძრაობის შეზღუდვის/მოძრაობის მიმართულების შეცვლის ნიშნების განთავსება; სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული სატრანსპორტო	სამშენებლო და მიმდებარე ტერიტორიები	ინსპექტირება	სამშენებლო სამუშაოების პერიოდში	სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულ ობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	საცობები მისასვლელ გზებზე.					
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა; მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესები/ინსტრუქციების მკაცრი დაცვა	სამშენებლო ტერიტორია	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	უბედური შემთხვევების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულ ობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
ინფორმაციის გაზიარება და საჩივრების განხილვა	სამშენებლო სამუშაოების დაწყების შესახებ ადგილობრივი მოსახლეობა (განსაკუთრებით სამშენებლო ობიექტის მიმდებარე მიწის მფლობელები) ინფორმირებულია. გამოცხადებულია საჩივრის განხილვის საკონტაქტო ინფორმაცია. საჩივრების ჟურნალი შენარჩუნებულია	სამშენებლო ტერიტორია და / ან მიმდებარე დასახლება და შენობები სამშენებლო ტერიტორიის ახლომდებარე დასახლება და შენობები	პირადად, ფოსტით, ტელეფონით ან სხვა საშუალებით (ჩანაწერებით) საჩივრების განხილვის მექანიზმზე ინფორმაციის მონაცემების არსებობა ხელმისაწვდომ ადგილას; მონაცემები საჩივრების ჟურნალზე, დროული რეაგირება/გადაწყვეტილების მიღება, უკუკავშირი და უკმაყოფილებები	სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე (მინ. 2 კვირა) ქვეპროექტის ხანგრძლივობის განმავლობაში	ადგილობრივ მოსახლეობასთან დაკავშირებული შემფოთების შემცირება, კითხვებისა და უკუკავშირის შესაძლებლობა დარწმუნება, რომ კითხვების და დაკვალიანება დროულად ხდება	მგვ ადგილობრივი ხელისუფლება
შემთხვევითი დაზიანების აღდგენა და კომპენსაცია	მფლობელები, რომლებიც განიცდიან მოსავლის, ნაგებობების ან სხვა აქტივების დაკარგვას ან დაზიანებას, მშენებლობის შედეგად,	სამშენებლო ტერიტორია	მგვ აღნიშნავს დაზიანებების არსებობასა და კომპენსაციების/აღდგენების შესახებ ინფორმაციას ზედამხედველების	ქვეპროექტის ხანგრძლივობის განმავლობაში	პროექტის ტერიტორიაზე მოსახლეობის აქტივები და საარსებო წყაროები გაუმჯობესდა ან	კონტრაქტორი (მგვ- ს და ზედამხედველობის კონსულტანტის მონიტორინგი)

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულ ობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	სათანადო კომპენსაციას მიიღებენ ან მათი დაზიანებები აღდგენილი იქნება		ანგარიშებისა და ტერიტორიაზე ვიზიტის მეშვეობით		მინიმალურ დონეზე აღდგენილია წინა პროექტის დონეზე.	
ოპერირების ფაზა						
მყარი ნარჩენების მართვა	ნაგვის ურნების განთავსება მუზეუმის მიმდებარე ტერიტორიაზე და ნარჩენების დროული და რეგულარული გატანა ტერიტორიიდან	რეაბილიტირებული ობიექტი	შემოწმება	მუზეუმის ფუნქციონირებისას	ქვე-პროექტისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ნარჩენებით დაბინძურების პრევენცია	მუზეუმის ადმინისტრაცია
რეაბილიტაციის შემდგომ ობიექტის მოვლა-პატრონობა	არანებადართული მშენებლობა და მიწის არაფორმალური გამოყენება მუზეუმის ტერიტორიის მიმდებარედ	რეაბილიტირებული ობიექტი	შემოწმება	მუზეუმის ფუნქციონირებისას	მუზეუმისა და მიმდებარე ტერიტორიის ისტორიული და ესთეტიური ღირებულების დაკარგვის პრევენცია	მუზეუმის ადმინისტრაცია, ყაზბეგის მუნიციპალიტეტი,

ქმედება	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/პერიოდულ ობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
						კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო
წყალმომარაგების და კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობის მომსახურება	წყალმომარაგების სისტემა არ ჟონავს და მუშაობს შეუფერხებლად. კანალიზაცია და საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ნაგებობა მუშაობს შეუფერხებლად.	რეაბილიტირებული სისტემები	შემოწმება	მოვლა-პატრონობის პროცესში	საგზაო შემთხვევების და სატრანსპორტო მოძრაობის დარღვევის თავიდან აცილება	მუზეუმის ადმინისტრაცია, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ალ.ყაზბეგის სახელობის მუზეუმისთვის განკუთვნილი შენობის არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა



ალ. ყაზბეგის სახლის არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა



აღმოსავლეთი ფასადი / East Facade



ჩრდილოეთი ფასადი / North Facade



დასავლეთი ფასადი / West Facade



სამხრეთი ფასადი / South Facade

ალ.ყაზბეგის ბიძის სახლის არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა



დასავლეთი ფასადი / West Facade



ჩრდილოეთი ფასადი / North Facade



სამხრეთი ფასადი / South Facade



აღმოსავლეთი ფასადი / East Facade

ისტორიული კომპლექსის სამხრეთის კიბურის მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა




ჩრდილოეთი ფასადი / North Facade



საქართველოს იუსტიციის საბჭოს
საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო
საკადასტრო განყოფილება

80708 ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 74 01 13 055
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882009387447
80708 ნაკვეთის ფართობი: 5167 კვ.მ.
დაინოვანების: არასახელოსნო-სამეურნეო



	შენიშნულობა: პროექტის ნიშნულობა		ფაქტობრივი საზღვარი		საზღვარი		საზღვარი
	მისი საკუთარი საკადასტრო საზღვარი		შენიშნული საზღვარი		საზღვარი		საზღვარი

საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს მისამართი: 0102 ქ. თბილისი, მ. ჭავჭავაძის ქ. 2 ტელ: (995 32) 91 04 27; ფაქსი: (995 32) 91 03 41
ვებგვერდი: www.napr.gov.ge

დანართი 3. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს წერილი
მუზეუმის ექსპონატების დროებითი განთავსების თაობაზე



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

№ 10/20/1408

„06“ 06 2016წ.



საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
აღმასრულებელ დირექტორს

ბ-ნ ჯუანშერ ბურჭულაძეს

ბატონო ჯუანშერ,

კიდევ ერთჯერ გიდასტურებთ სრულ შზაობას დასახმარებლად, რაც უკავშირდება სტეფანწმინდის ალ. ყაზბეგის მუზეუმის პროექტის განსახორციელებლად ნებისმიერ აქტივობას.

ა/წ 26 აპრილს ჩვენ გამოგიგზავნეთ წერილი (10/20/827), რომელშიც შევეცადეთ გაგვეცა პასუხი დონორის მიერ დასმულ შეკითხვებზე:

- 1) რა ექსპონატებია განთავსებული სარეაბილიტაციო შენობებში?
სარეაბილიტაციო შენობებიდან ორ შენობაში - ერთერთი გახლავთ ალ. ყაზბეგის მემორიალური სახლი, სადაც მოძველებული საექსპოზიციო სივრცეა, ხოლო მეორე - ალ. ყაზბეგის ბიძის სახლი, სადაც ფონდსაცავია განთავსებული. ამ შენობებში სულ თავმოყრილია 31 414 ექსპონატი. ეს გახლავთ არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, საბუნებისმეტყველო და ნუმისმატიკური კოლექციები, ასევე ფერწერა, გრაფიკა, სკულპტურა, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ფოტომასალა, წერილობითი ძეგლები, ძვირფასი ლითონები, მემორიალური ნივთები, საეკლესიო ნივთები, კინო და მუსიკალური საცნობარო მასალა.
- 2) რეაბილიტაციოს პროექტის მიმდინარეობისას, სად იქნება განთავსებული ეს ექსპონატები?
სააგენტოს თავდაპირველად მიაჩნდა, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობისას ოპტიმალური გადაწყვეტა იყო მუზეუმის ექსპონატები სათანადოდ შეფუთვის შემდგომ ფონდსაცავიდან (ალ. ყაზბეგის ბიძის სახლიდან) მთლიანად გადატანილი ყოფილიყო საექსპოზიციო შენობაში (ალ. ყაზბეგის მემორიალური სახლი), სადაც შედარებით მარტივი იქნებოდა მათი დაცვისა და უსაფრთხოების მიღწევა, თუმცა მუნიციპალური განვითარების ფონდში შეხვედრისას გამოიკვეთა ტექნიკური სირთულეები არსებულ შენობაში განთავსების კუთხით და სააგენტომ უზრუნველყო ყაზბეგის მუნიციპალუტეტის გამგეობის დახმარებით უსასყიდლოდ გამოყოფილიყო გამგეობის ადმინისტრაციული შენობის სააქტო დარბაზი, სადაც განთავსდება მუზეუმში დაცული კოლექციები და რის დაცვას, მოვლას და უსაფრთხოებას მთლიანად უზრუნველყოფს

სააგენტო. (დანართის სახით ვიგზავნით ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანხმობას გადმოგვცეს აღნიშნული ფართი).

- 3) როგორ იქნება უზრუნველყოფილი მათი უსაფრთხო შენახვა? ვინ იქნება პასუხისმგებელი პირი დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში?
რაც შეეხება დაცვის პირობებს, ფართი აღიჭურვება გისოსებით, შეიქმნება მიკროკლიმატი, სამუზეუმო ექსპონატებს დაიცავს სიგნალიზაცია, ხოლო მონიტორინგს განახორციელებს მუზეუმის დირექცია და თანამშრომლები.
- 4) ამჟამად მუზეუმს რამდენი თანამშრომელი ჰყავს, ვინ უხდის ხელფასს და მუზეუმის რეაბილიტაციის პერიოდში ხომ არ დაკარგავენ შემოსავლის წყაროს?
სტეფანწმინდის აღ. ყაზბეგის მუზეუმი სააგენტოს სტრუქტურული ერთეულია, შესაბამისად იქ დასაქმებულებზე ხელფასს გასცემს სააგენტო. მუზეუმში ამ მომენტისთვის დასაქმებულია 10 თანამშრომელი, რომელთაც რეაბილიტაციის პერიოდში სამუშაო რეჟიმის ცვლილების მიუხედავად ხელფასის მიცემა არ შეუწყდებათ.
- 5) ექსპონატების გადაზიდვაზე ვინ არის პასუხისმგებელი, როგორ მოხდება მათი შეფუთვა, განთავსება, რა დრო დასჭირდება ტრანსპორტირებას, მოხდება თუ არა ექსპონატების ინვენტარიზაცია - რა ვადაში?
ექსპონატების შეფუთვის, გადაზიდვას, განთავსებას, ტრანსპორტირებას მოახდენს სააგენტო მას შემდეგ რაც გამოცხადდება ტენდერი და ფიზიკური სამუშაოების შემსრულებელი გამარჯვებული ფირმა გამოვლინდება. თავის მხრივ ნებისმიერი ეს ღონისძიება ჩვენგანაც სატენდერო წინადადების გამოცხადებას მოითხოვს და დამოკიდებული ვართ სარეაბილიტაციო ტენდერის დაწყებაზე, ვინაიდან და რადგანაც შეფუთვა, გადაზიდვა, ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე. ანუ აზრს დაკარგავს მანამდე გადაზიდვა თუკი არ გვეცოდინება სამუშაოების დაწყების მიახლოებითი თარიღი მაინც, რათა გამოირიცხოს ამაო განთავსება გამგეობის მიერ გადმოცემულ ფართში.

(იხ. დანართი 1 ფურცელი)

პატივისცემით,

პაატა დოლიძე

გენერალური დირექტორის მოადგილე





საქართველო



ყაზგაბის მუნიციპალიტეტის გამგეობა

№1416

2 ივნისი 2016 წელი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილეს
ბატონ დ.ლომიტაშვილს

თქვენი მიმდინარე წლის 16 მაისის №15/11/965 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ
სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესში,
რეაბილიტაციის დასრულებამდე გამგეობა თანახმაა გამგეობის ადმინისტრაციული შენობის
სააქტო დარბაზში დროებით უსასყიდლოდ განათავსოთ მუზეუმში დაცული კოლექცია თქვენი
შრიდან დამატებით დაცვის უზრუნველყოფის გარანტიით.

პატივისცემით,

გივი ქირიკაშვილი

მუნიციპალიტეტის გამგებელი

Handwritten signature



საქართველო, ყაზგაბი 4700, დაბა სტეფანწმინდა აღ.ყაზგაბეთის კმ.1,

Handwritten notes:
2929
03.06.16

15 ივლისი, 2016

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, საქართველო

საჯარო განხილვის ოქმი

რეგიონალური განვითარების მესამე პროექტი (RDP 3)

დაბა სტეფანწმინდაში ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის ისტორიული მუზეუმის
კომპლექსის რეაბილიტაცია

და სოფელ გერგეთში მისასვლელი საავტომობილო გზისა და გერგეთის სამეზობლო
მისასვლელი საფეხმავლო გზის რეაბილიტაცია

ქვე-პროექტების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმისა და
სოციალური საკითხების

საჯარო განხილვა

2016 წლის 15 ივლისს 13:00 საათზე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (მისამართი: დაბა სტეფანწმინდა, ალ. ყაზბეგის ქუჩა #1) გაიმართა ქვე-პროექტების „დაბა სტეფანწმინდაში ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის ისტორიული მუზეუმის კომპლექსის რეაბილიტაცია“ და „სოფელ გერგეთში მისასვლელი საავტომობილო გზისა და გერგეთის სამეზობლო მისასვლელი საფეხმავლო გზის რეაბილიტაცია“ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმისა და სოციალური საკითხების საჯარო განხილვა.

შეხვედრა მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი/დადებითი ზეგავლენისა და მათი თავიდან აცილების გზებისა და საშუალებების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლები: მანანა მერაქიშვილი, ია უფხოშვილი, შოთა ბურდული, ანა ჩქარეული, თიკო სუჯაშვილი, ფიქრია გრიგოლაძე, ლელა ფიცხელაური, დავით გიგაური, მანუჩარ დვალიშვილი;

ელგუჯა ლუდუშაური - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

სოფელ გერგეთის მცხოვრებლები: ლამარა ქუქიშვილი, ვახტანგ სუჯაშვილი, ბესიკ სუჯაშვილი, შუბინ სუჯაშვილი, მანანა წიკლაური, დოდო სუჯაშვილი, ნონა სუჯაშვილი, ნათელა სუჯაშვილი, მარეხი ხუციშვილი, ნინო ხუციშვილი, ზურაბ

ხუციშვილი, ლევან გომიაშვილი, ვიქტორ სუჯაშვილი, თამაზ სუჯაშვილი, დავით სუჯაშვილი;

ყაზბეგის სახელობის მუზეუმის წარმომადგენლები: მანანა ხულელიძე, იაგო კაზალიკაშვილი, ნანა ფირანიშვილი, ლია კურკუმული;

ზურაბ სუჯაშვილი - შპს „სუჯა“, მარინა წიკლაური - ყაზბეგის გიმნაზია-პანსიონი;

მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები:

გიგა გველესიანი - გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახურის უფროსი;

ანა რუხაძე - გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი;

დავით ბახსოლიანი - კონსულტანტი განსახლების საკითხებში;

ირაკლი ჯაფარიძე - კონსულტანტი განსახლების საკითხებში;

ვასილ ფეხმაშვილი - საინჟინრო შეფასების სპეციალისტი.

შეხვედრა გახსნა გიგა გველესიანმა, რომელმაც შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალური განვითარების ფონდისა და შეხვედრის მიზნების შესახებ.

ა. რუხაძემ, შეხვედრის მონაწილეებს წარუდგინა ინფორმაცია რეგიონული განვითარების მესამე პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ქვე-პროექტების შესახებ და დეტალურად ისაუბრა ქვე-პროექტების „დაბა სტეფანწმინდაში ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის ისტორიული მუზეუმის კომპლექსის რეაბილიტაცია“ და „სოფელ გერგეთში მისასვლელი საავტომობილო გზისა და გერგეთის სამებასთან მისასვლელი საფეხმავლო გზის რეაბილიტაცია“ ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შესახებ. ა. რუხაძემ განიხილა ქვე-პროექტებისათვის მომზადებული გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა. შეხვედრის მონაწილეებს გააცნო მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი მოთხოვნები, განიხილა დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებები. აღნიშნა, რომ აღნიშნული ქვე-პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოები საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ საჭიროებს გარემოზე ზემოქმედების ნებართვას და სხვა სახის შეთანხმებას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან, ამიტომ ქვე-პროექტები განხორციელდება მსოფლიო ბანკის შესაბამისი უსაფრთხოების პოლიტიკისა და რეგიონული განვითარების პროექტისთვის მომზადებული სამოქმედო სახელმძღვანელოს შესაბამისად.

ა. რუხაძემ აღნიშნა, რომ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმა არის მშენებელ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და კონტრაქტორს ევალება უზრუნველყოს გეგმით გათვალისწინებული შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება. ასევე, ისაუბრა ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი მონიტორინგის და შესაბამისი ანგარიშგების პროცედურებზე.

ა. რუხადემ შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, ვისთანაც საზოგადოებას საშუალება აქვს დაუკავშირდეს და საკუთარი მოსაზრება დააფიქსიროს გარემოს დაცვითი და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული რაიმე სახის უკმაყოფილების წარმოშობის შემთხვევაში.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ შეხვედრის მონაწილეებს საშუალება მიეცა გამოეთქვათ საკუთარი აზრი ან/და დაესვათ კითხვები წარდგენილ საკითხებთან დაკავშირებით, შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმული იქნა შემდეგი შეკითხვები:

შეკითხვები და შენიშვნები	პასუხები და კომენტარები
<p>იქნება თუ არა კონტრაქტორის ვალდებულება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება?</p>	<p>შესყიდვების წესების თანახმად ხელშეკრულებით ვერ განისაზღვრება კონტრაქტორის ვალდებულება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესახებ. თუმცა კონტრაქტორების მიერ უმეტეს შემთხვევაში ხდება ადგილობრივი მუშა-ხელის დაქირავება.</p>
<p>მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტით გათვალისწინებულია თუ არა მუზეუმის ეზოში არსებული გადაბერებული ხეების მოჭრა? და გათვალისწინებულია თუ არა ღობის რესტავრაცია?</p>	<p>პროექტით ხეების მოჭრა არ არის გათვალისწინებული. მუზეუმის ეზოში შენარჩუნდება გაზონების წყობა, გაიწმინდება და აღდგება აუზი, განათების სისტემა, განთავსდება სკამები, ურნები, მოეწყობა საზოგადოებრივი ტუალეტი, რესტავრაცია ჩატარდება ღობეს.</p>
<p>უმჯობესი იქნებოდა მუზეუმის ადმინისტრაცია დარჩენილიყო ყაზბეგის სახლ-მუზეუმში, ვინაიდან ისტორიული მუზეუმის შენობაში არ არის შესაბამისი პირობები.</p>	<p>ადმინისტრაციის გადატანა ისტორიული მუზეუმის შენობაში შექმნის დამატებით საგამოფენო სივრცეს ყაზბეგის სახლ-მუზეუმში. რაც შეეხება ისტორიული მუზეუმის შენობას, პროექტით გათვალისწინებულია კაპიტალური შეკეთების სამუშაოები, რომელიც შექმნის შესაბამის კომფორტულ გარემოს მუზეუმის ადმინისტრაციისა და ტურისტებისათვის, შეილესება ფასადები, მოეწყობა ახალი გადახურვა ჰიდროსაიზოლაციო მასალით, მოეწყობა წყლის, კანალიზაციის, გათბობისა და ვენტილაციის სისტემები, შენობის ირგვლივ მოეწყობა წყალარინების სისტემა. პროექტის თანახმად, ამ შენობაში განთავსდება ტურიზმის რეგიონული საინფორმაციო ცენტრი, სივრცე დროებითი გამოფენებისათვის და საკონფერენციო დარბაზი. შესასვლელიდან მარცხენა ფლიგელში განთავსდება კაფე და სუვენირების პავილიონი, ხოლო მარჯვენა ფლიგელში - მუზეუმის ადმინისტრაცია.</p>

<p>რა პერიოდის განმავლობაში განხორციელდება სოფელ გერგეტში გზის რეაბილიტაცია? გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ თოვლიან ან ყინვების პერიოდში არ მოხდეს გზის საფარის დაგება.</p>	<p>პროექტი განხორციელების ხანგრძლივობა არის 6 თვე. მაგრამ, ამინდის პირობებიდან გამომდინარე, შესაძლოა საჭირო გახდეს სამუშაოების დროებით შეჩერება, რათა მათი შესრულება მოხდეს შესაბამისი ხარისხით.</p>
<p>პროექტის მიხედვით ხომ არ მოხდება გზის საფარის ამაღლება? გათვალისწინებული არის თუ არა სანიაღვრე წყლების ჭების ამაღლება?</p>	<p>პროექტის თანახმად უნდა მოხდეს გზაზე გრუნტის მოჭრა და შემდგომ გზის საფუძვლის მოწყობა. საბოლოოდ გზის ზედაპირი აიწევს მხოლოდ უმნიშვნელოდ. პროექტით გათვალისწინებულია სანიაღვრე ჭებისა და კიუვეტების მოწყობა.</p>
<p>ბეტონის მარკის შერჩევას გათვალისწინებული იქნა რეგიონისათვის დამახასიათებელი ძლიერი ყინვები?</p>	<p>პროექტის თანახმად გზის საფარი უნდა მოეწყოს მაღალი ხარისხის ბეტონით, რომელიც გაუძლებს ადგილობრივ მკაცრ პირობებს.</p>
<p>რატომ იქნა შერჩეული ცემენტო-ბეტონის საფარი? მცირე დაზიანების შემთხვევაშიც შესაძლოა წარმოიქმნას მტვერი და მოსახლეობა ისევ ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ხომ არ აჯობებდა ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა?</p>	<p>ცემენტო-ბეტონის საფარი შერჩეული იქნა იმ თვალსაზრისით, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო გზის ხანგრძლივი ექსპლუატაციის შესაძლებლობა. გზის რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში კონტრაქტორი ვალდებული იქნება აღმოფხვრას ნებისმიერი ხარვეზი.</p>
<p>გზის რეაბილიტაციის სამუშაოების დროს, საჭიროებიდან გამომდინარე, მოსახლეობას ექნება მიწისქვეშა კომუნიკაციის შეცვლის შესაძლებლობა?</p>	<p>მოსახლეობამ, საჭიროების შემთხვევაში, მიწისქვეშა კომუნიკაცია უნდა განათავსოს იმ სიღრმეზე, რომ არ შეიცვალოს გზის საფარის სიმაღლე.</p>
<p>ზამთარში გერგეტის გზის გაწმენდა ხდება მუხლუხიანი ტრაქტორით, ხომ არ მოხდება გზის საფარის დაზიანება?</p>	<p>გზის გაწმენდითი სამუშაოები გზის საფარის დაზიანებას არ გამოიწვევს.</p>

გარემოსდაცვითი დოკუმენტების განხილვის შემდგომ, შეხვედრის მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია საკადასტრო მონაცემებში არსებული შესაძლო ხარვეზების თაობაზე. კერძოდ, იმის შესახებ, რომ შესაძლოა გზის მომიჯნავე რამდენიმე ნაკვეთის საკადასტრო საზღვარმა მცირედ გადაფაროს სსიპ საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბალანსზე არსებული შიდასახელმწიფოებრივი გზის სტეფანწმინდა-სამების გარკვეული მონაკვეთები. აღნიშნული გამოწვეულია მიწის რეგისტრაციის პროცესში არსებული ხარვეზებით, როცა მიწის ნაკვეთების აზომვები ხდებოდა

ელემენტარული ხელსაწყოებით, რომელიც იძლეოდა საზღვრების გარკვეულ ცდომილებებს.

ნაკვეთების მფლობელებმა წამოაყენეს ინიციატივა, რომ წერილობით ინდივიდუალურად დაადასტურებდნენ თანხმობას გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებაზე.

შეხვედრის დასასრულს სოფელ გერგეთის მაცხოვრებლებმა მუნიციპალური განვითარების ფონდს წერილობით დაუდასტურეს გზის რეაბილიტაციის უმოკლეს განხორციელების მნიშვნელობა და მათი თანხმობა პროექტის განხორციელებაზე არსებული სახით.

შეხვედრის ფოტომასალა და შეხვედრაზე დამსწრეთა სარეგისტრაციო ფურცლის ასლი თანდართულია.

ოქმი მომზადებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოს დაცვისა და განსახლების სამსახურის სპეციალისტის ანა რუხაძის მიერ.

18 ივლისი, 2016

შეხვედრის მონაწილეთა რეგისტრაციის ფურცელი:

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი

დაბა სტეფანწმინდაში ალექსანდრე ყაზბეგის სახელობის ისტორიული მუზეუმის კომპლექსის რეაბილიტაციის ქვე პროექტი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გერგეთში მისასვლელი საავტომობილო გზისა და გერგეთის სამეზობლო მისასვლელი საფეხმავლო გზის რეაბილიტაციის ქვე პროექტი

გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის განხილვა





15 ივლისი 2016 წელი

შეხვედრაზე დამსწრეთა რეგისტრაციის ფურცელი

	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/მოქალაქე	საკონტაქტო ინფორმაცია	ხელმოწერა
1.	რამისია ჩუჩიჭავჭავაძე	მეცნიერებათა	595 485-595	რ. ჩუჩიჭავ
2.	დავით სუბანიძე	ქ.ს.ს.	577 5222 05	დავით
3.	მუხომბე სუბანიძე	მეცნიერებათა	599.18.2746	მუხომბე
4.	სუბანიძე ვახტანგ	სოფ. ვეფხვი	571 18 3618	სუბანიძე
5.	სუბანიძე ვახტანგ	სოფ. ვეფხვი	599325542	ს. სუბანიძე
6.	სუბანიძე ვახტანგ	სოფ. ვეფხვი	59707 8184	ს. სუბანიძე

7.	Հոսի ջրի հանքեր	Ժճարներ	595903250	Ջրակ
8.	Զոնայի կոնսոլիդացիոն հանքային ջրեր	Յոթնամյա	591309073	Ջրակ
9.	Բնական կոնսոլիդացիոն	Յոթնամյա	599923755	Կոնսոլ
10.	Երկրի լիցենզիա	Յոթնամյա	59992-7058	Լիցենզիա
11.	Երկրի կադաստր	Յոթնամյա	599-41-88-95	Կադաստր
12.	Բնական կոնսոլիդացիոն	Յոթնամյա	555-39-37-69	Կոնսոլ
13.	Երկրի կադաստր	Յոթնամյա	599-801-830	Կադաստր
14.	Ոսկի կոնսոլիդացիոն	Կոնսոլիդացիոն	591-303-301	Կոնսոլ
15.	Զոնայի կոնսոլիդացիոն	Կոնսոլիդացիոն	598-49-96-75	Կոնսոլ
16.	Երկրի կադաստր	Կոնսոլիդացիոն	577-278023	Կոնսոլ
17.	Երկրի կադաստր	Կոնսոլիդացիոն	595-52-07-81	Կոնսոլ

18.	ՀԱՅ ԿՆՏԱԾՅՈՒ	Զրկյալ	551 81 00 50	Յ. Բաթ
19.	Գրասենյակային	Կ. Պետրոսյան	551 16-04-04	Կ
20.	Ճանաչողական	Կ. Պետրոսյան	595 90-25-50	Ս. Բաթ
21.	Մանկավարժական	Կ. Պետրոսյան	577 00 40 60	Ս. Բաթ
22.	Օրհնագրական	Կ. Պետրոսյան	595 26-85-25	Կ. Բաթ
23.	Կ. Պետրոսյան	Կ. Պետրոսյան	595 903 401	
24.	Պետական	Կ. Պետրոսյան	44001004244	Կ. Բաթ
25.	Կ. Պետրոսյան	Կ. Պետրոսյան	591 01 85 25	Կ. Բաթ
26.	Կ. Պետրոսյան	Կ. Պետրոսյան	598.79.85.25.	Կ. Բաթ
27.	Կ. Պետրոսյան	Կ. Պետրոսյան	591 - 11-34 - 20	Կ. Բաթ
28.	Կ. Պետրոսյան	Կ. Պետրոսյան	599-62-30-09	Կ. Բաթ

29.	հայրենի շահագործող	Լուս. ՅՍԻՅՍԿ	599-71-52-52	
30.	ՀՊ-ԲՄԻ Լրագրություն	Լուս. ԳԻՊՊԻ	5-77-185808	
31.	ԲՅՅՈՒ ԶՆԵՊՈՒՆ	ԶՅՅ	555 02-09-87	Զ. ԳՅԵՆՈՒՆ
32.	ԴՊ ԴՏԴՏԻՍ	ԴՊ	577-78-22-15	
33.	ՈՒՍՏՈՒՆ ԽՈՍՏՈՒՆ	ԶՅՅ	593 16-55-44	Ո. ԽՈՍՏՈՒՆ
34.	ՈՍԴԵ ԼՐԱԳՐՈՒՆ	Լուս. ԳԻՊՊԻ	5-99-53-73-53	
35.				
36.				
37.				
38.				
39.				

ფოტომასალა:

